№ 2986
სამშაბათი,
24 იანვარი

ცნობის ფურცელი

№ 2986
სამშაბათი,
24 იანვარი

გაზეთი ღირს: წლიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ამხ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1906

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუა, დღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-"Моамбе". ტელეფონი № 372**

„ნაპერწკლის" რედაქციისაგან.

ზოგიერთი მოსაზრებისა და ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო სატირიული ჟურნალი კარრიკატურებით „ნაპერწკალი" **ჯერ არ გამოვა.**

ვისაც ფული აქვს შემოტანილი, ჩაეთვლება ჟურნალის გამოსვლის დღიდან.

1906 წელს **„ცნობის ფურცელი"** სურათებიანი დამატებით

გამოვა იმავე პროგრამით, ყოველ დღე, გარდა ორშაბათისა და დიდი უქმეების შემდეგ. დაახლოვებით თებერვლის გასულს ან მარტში გაზეთის ფორმატი **გადიდებული** იქნება. ამისათვის გერმანიიდან დაბარებულია განსაკუთრებული მსწრაფლ-მბეჭდავი მანქანა და ქაღალდი. ქაღალდი უკვე მოვიდა, ხოლო მანქანა გზაშია.

ფასი გაზეთისა:

კავკასიაში და რუსეთის ყველა ქალაქებში გაგზავნით **ერთის წლით 6** მან.	საზღვარ-გარედ გაგზავნით **ერთის წლით 11** მან.
ერთის თვით 50 კაპ.	**ერთის თვით 1 მან.**

გაზეთის ხელის მომწერთ გაეგზავნებათ სურათებიანი დამატება

დამატებაში, გარდა უცხოეთის და რუსეთის ცხოვრებიდან აღებულ სურათებისა, მოთავსებული იქნება სურათები ადგილობრივ ცხოვრებიდანაც. დამატებაში მონაწილეობას მიიღებენ, გარდა მუდმივ თანამშრომლისა ხატვარი ოსკარ შმერლინგისა და გოგიაშვილისა, მხატვრები გრინევსკი, ბერიძე და როტტერი.

„ცნობის ფურცლის" წლიურ ხელისმომწერთ ერთის მანეთის დამატებით გაეგზავნებათ იუმორისტული ჟურნალი **„ნაპერწკალი"**.

ადრესი: Тифлисъ, редакція „Цнобисъ Пурцели".

იგნატე, ილექსანდრე, კონსტანტინე და ივანე პოლუმორდვინოვები, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ დღეს, 24 იანვარს, 11 საათზედ თანდოანთ წმ. ღვთისმშობლის ეკლესიაში (მიხეილოვის ქუჩა, რეალური სასწავლებლის პირდაპირ) გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ძვირფასი დედის

სოფიო გესარიონის ასულის პოლუმორდვინოვის

სულის მოსახსენებლად. (1—1)

აბონემენტის რიცხვში. ქართული წარმოდგენა. სახაზინო თეატრში № 9.

ხუთშაბათს, 26 იანვარს 1906 წ., ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება: **ტასო აბაშიძის საბენეფისოდ პირველად ახალი პიესა**

ჯამბაზები

კომედია 3 მოქმ. ცირკში მოთამაშეთა ცხოვრებიდან შენტანისა, რუსულიდან თარგ. ვ. აბაშიძისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, დ. ივანიძე, მ. მდივანი, ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, შ. დადიანი, ს. სვიმონიძე, ზ. საფაროვი, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, დ. ხარკვიანი, ვ. ურუშაძე, ჟივიძე, ცხინვალელი.

მოსწავლეთათვის ადგილები ლოჟაში 40 კაპ. ადგილების ფასი დაკლებულია.

წარმოდგენა დაიწყება 7½ საათზე. დასასრული 10 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად „ხალხი", „სულ სხვა კაცი", ქალის სვე-ბედი".

რეჟისორი **ვ. გუნია.**

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო **ბანკი**

საყოველთაოთ აცხადებს, რომ ბანკის წესდების 82, 83, 84, 85 და 86 §§ ძალით, ამა წლის თებერვლისათვის დანიშნულია **ბანკის იმ მსესხებელთა კრებები,** რომელთაც სესხი მიცემული აქვთ საურთიერთო თავდებობით; კრებებზე არჩეულ უნდა იქმნან ბანკის რწმუნებულნი 1906—1907 წლებისათვის. კრებები მოხდება ტფილისს, ბანკის სადგომში ფრეილინის ქუჩაზე, დილის ათი საათიდან: 26 თებერვალს—პირველ რიგის მსესხებელთათვის, 27 თებერვალს—მეორე რიგის და 28—მესამე რიგის მსესხებელთათვის ამასთან ეუწყება მსესხებელთ, რომ წესდების 86 § შენიშვნის ძალით, საარჩევნო კრება კანონიერად ითვლება, რამდენი კაციც უნდა დაესწროს. (3—6.—[illegible])

---

25 მაისს 1895 წ. **უმაღლესად** დამტკიცდა სახელმწიფო საბჭოს აზრი იმის შესახებ, რომ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის ყოფილ რწმუნებულთ დაუბრუნდეს მათ მიერ შეტანილი ბანკის დასაარსებლად ფული; ამ აზრის ძალით და აგრეთვე ფინანსთა სამინისტროს მიერ 8 მაისს 1900 წ. დამტკიცებულ წესდების მე-7 პუნქტის თანახმად ცხადდება: ის პირი, რომელსაც გადაეცა გადამცემი ზედ-წარწერით კვიტანცია იმის შესახებ, რომ თავადმა იასე ადამის ძე ანდრონიკაშვილმა ზემოთ დასახელებული ბანკის დასაარსებლად შეიტანა ას ერთი მანეთი და 25 კაპეიკი, ვალდებულია წარუდგინოს ხსენებული კვიტანცია ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს ამ განცხადების დაბეჭდვის შემდეგ ექვსის თვის განმავლობაში; წინააღმდეგ შემთხვევაში, სამუდამოთ დაჰკარგავს უფლებას ამ ფულების მიღებისას და ფული გადაიდება თავად იასე ადამის ძის ანდრონიკაშვილის სასარგებლოდ. (3—5.—1)

კომისია, რომელიც ზრუნავს ფიზიკო-მათემატიკის სახელმძღვანელოების შესამუშავებლად ქართულ ენაზე დაბალ და საშუალო სასწავლებლებისათვის, სთხოვს ყველას, ვისაც ამ საგნების ან თარგმანი, ან თავისით შედგენილი სახელმძღვანელოები აქვთ უკვე დაწერილი ან გამოცემული, მოაწოდონ კომისიას გასასინჯათ. თუ უკვე არსებული რომელიმე შრომა კომისიის შეხედულებით საკმარისად დააკმაყოფილებს მოთხოვნილებას ახლო მომავალში, პირველ ხანებში მაინც, კომისსია თავის დროს და მეცადინეობას დანარჩენ სახელმძღვანელოების შემუშავებას მოანდომებს.

ადრესი: „ცნობ. ფურცლის" რედაქცია, კომისსის გადასაცემად. (3—უ.—2)

ა. პ. შულგინა-მესხი

გაკვეთილები საოპერო სიმღერისა, ამზადებს ქართულ ოპერებისთვის და აგრეთვე პრაქტიკული და თეორეტიული გაკვეთილები ფრანგულ, გერმანულ და იტალიურ ენებისა. ვერის დაღმართი № 1 (თვ.)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთ 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარი სახლი № 20. ტელეფონი 791.

ავადმყოფთათვის არის ერთი კრაოტი.

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი

ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ავადმყოფებ. იღებს: დილის 9—2-მდის და საღამოს 5—7-მდისს კვირა-უქმეობით 10—1-მდის.

ექიმი
პ. ა. არდაზიანი

იღებს ბავშვებს და შინაგან ავადმყოფებს დილის 8—9 ს., საღამოს 4—7 ს. აქვე სწარმოებს ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევა (2—19)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 6—7-მდე, გარდა კვირა საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი, ფოსტის პირდაპირ № 8. (წლ.)

ექიმი
გ. ა. გედალინი

მადათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღის ეკლესიის პირდაპირ.

ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვერენიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილის 8-დან 9 საათამდე, საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (31—6.—20)

მედიცინის დოქტორი
მ. ი. მურადოვი

ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტისა, იღებს სპეციალურად საშარდეს, სიფილისის და კანის სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე 10 დან—11-მდე და 5-დან 7 საათამდე, რტიშჩევსკის ქ., ს. № 1. ცეცხლის საქრობ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი 711. (51—368—47)

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი

განაახლა კბილის ავადმყოფთა მიღება. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს. ავადმყოფებს იღებს 9—2 და 4—7 ს. მიხაილოვის პროსპექტი, მატინოვის სახლი № 32. ძველ ბინის გვერდზე.

ექიმი
მ. პ. ბეზირგანოვი

სიმონოვის ქუჩა № 7. მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7½ საათ (თვ.—26)

ახლად დაბეჭდილი
სამზარეულო
ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობაში, ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიჰმართოს ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. იტამბაში. (წლ.)

ტფილის, 24 იანვარი.

სათავად-აზნაურო გიმნაზია.

აგერ სრული ოცდა ხუთი წელიწადია მას შემდეგ, რაც ტფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზია დაარსდა და ამ ხნის განმავლობაში იგი შეძლებისა დაგვარად ემსახურებოდა სწავლა-განათლების საქმეს ტფილისის გუბერნიაში. ვისაც ცოტათი მაინც თვალყური უდევნებია ამ სასწავლებლის ზრდა-განვითარებისათვის, იგი უეჭველად დაგვეთანხმება, რომ ტფ. გუბერნიის შეუძლო თავად-აზნაურობისათვის ეს სასწავლებელი დიდი ნუგეში იყო. მართალია სასწავლებლის ნაყოფიერებას აფერხებდა მრავალი ნაკლულევანება, რამაც განსაკუთრებით თავი იჩინა ამ უკანასკნელ წლებში, მაგრამ ყოველ შემთხვევაში საქმე ისე ცუდათ არ არის, რომ ამ სასწავლებლის სრულიად გაუქმება ვისმეს აზრად მოსვლოდეს. პირიქით საზოგადოება წლითა-წლობით საქმეს აფართოვებდა, უმატებდა ყოველ წლივ პარალელურ განყოფილებებს, აუმჯობესებდა სწავლის საქმეს, რამდენადაც ეს შესაძლო იყო ძველის რეჟიმის დროს, და ამ რიგად სასწავლებელში თავი მოუყარა შვიდასამდე მოსწავლე ახალგაზრდობას, რომელთათვის სახელმწიფო სასწავლებლებში სწავლის მიღება, ნივთიერ სიღარიბის გამო, ყოვლად შეუძლებელი და მოუხერხებელი იყო.

საკმარისია აღვნიშნოთ, რომ სწავლის ფასი სასწავლებელში თორმეტი მანეთი იყო დაწესებული და ამ მცირედ გადასახადისაგანაც კი სკოლა მოწაფეების სამს მეოთხედს ანთავისუფლებდა ყოველ წლობით, მოწაფეების უმრავლესობას უფასოდ ეძლეოდა თითქმის ყველა სასწავლო ნივთები, ულარიბესი მოწაფენი ტანთსაცმელს და სადილსაც სკოლაში უფასოდ იღებდნენ. დიახ, საკმარისია ყველა ეს გავიხსენოთ, რომ ნათლად გავითვალისწინოთ ის სამსახური, რომელსაც უწევდა სათავად-აზნაურო გიმნაზია ტფ. გუბერნიის შეუძლო თავად-აზნაურთა შვილებს სწავლა-აღზრდის საქმეში.

ამ ჟამად, როგორც მკითხველებს უკვე მოეხსენებათ, თავად-აზნაურობამ მოუსპო სკოლას ჩვეულებრივის ავანსით სესხი და ამრიგად შვიდასი მოსწავლე ყმაწვილი სრულიად უმწეოდ ქუჩაში დარჩა. გიმნაზიაში სწავლა შეჩერებულია და უსახსრობის გამო მოსალოდნელიც არ არის ამ მოკლე ხანში დაიწყოს. მოწაფეები თითქმის ყველა კუთხიდან მოაწყდნენ ტფილისს და დღითი-დღე სასწავლებლის კარებებს არ შორდებიან, მაგრამ საშველი კი არსაიდან არა სჩანს.

დღეს დღეობით ჩვენი ქვეყანა ისეთს ღარს შესანიშნავ ისტორიულ მომენტს განიცდის, რომ ქართველი საზოგადოება სრულის მხნეობით უნდა ეკიდებოდეს ყოველგვარ ახალს საზოგადო საქმეს, რაიცა-კი ხელს შეუწყობს ჩვენის ერის გათვითცნობიერებისა და კეთილ-დღეობის საქმეს. ჩვენის საზოგადოების პირდაპირი მოვალეობაა დღევანდელს ისტორიულ პირობებში ჩვენის საზოგადო საქმეების ახალის ასპარეზის მოპოვება, მისი გაფართოვება და მკვიდრ ნიადაგზე დამყარება და არა არსებულ საზოგადო დაწესებულებათა შეზღუდვა, მისი სრული მოსპობა.

ჯერ-ჯერობით ახალი საზოგადო საქმე არა გამოგვიწყვია რა და ძველს კი, რომელსაც სამსახური მიუძღვის ჩვენის საზოგადოების წინაშე, ჩვენისავე ხელით სიცოცხლეს ვუსპობთ და ერთხელაც აზრად არ მოგვდის, რა დიდ პასუხის გებას ვიღებთ მომავალ თაობის წინაშე. განა მოუტევებელ დანაშაულობად არ ჩაგვეთვლება, რომ შვიდასი მოსწავლე ახალგაზრდა ღვთის ანაბარად დავსტოვოთ ქუჩაში! რა პასუხი უნდა გავცეთ მომავალ ახალგაზრდობას, ჩვენს ამ ერთად ერთს იმედს და ნუგეშს! რა პასუხი უნდა გავცეთ მათ ღარიბ მშობლებს, რომელნიც სრულიად დაიმედებულნი იყვნენ, ჩვენი შვილები სწავლას არ მოსცდებიანო.

ჩვენის აზრით თავის მართლება ყოვლად შეუწყნარებელი იქნება, რადგან ასეთის თავის მართლებისათვის ჯერ-ჯერობით საკმაო საბუთი არ მოგვეპოვება. მართალია, სათავად-აზნაურო გიმნაზია ინახებოდა ბანკის ყოველწლიურ მოგებიდან და დღევანდელ პირობების მიხედვით შესაძლოა ბანკს ძველებურად მოგება არ დარჩეს, მაგრამ ეს კიდევ მაინცა და მაინც საბუთი არ არის, რომ სათავად-აზნაურო გიმნაზია უსახსრობის გამო დაიხუროს. ტფილისის თავად-აზნაურობას სხვა წყაროც მოეპოვება, გარდა ბანკის მოსალოდნელ მოგებისა და აი სწორედ ეს წყარო უნდა მიშველებოდა გიმნაზიას დღევანდელს გაჭირვებულს მდგომარეობაში.

ჩვენ გვაქვს სახეში თავად-აზნაურთა ქარვასლა, რომლის შემოსავალი, ყოველს ხარჯს გარეშე, ადვილად შეინახავდა მთელს სასწავლებელს მაისამდის, როცა სასწავლებლის ბედსა და ან უბედობას თვით თავად-აზნაურობა განსჯიდა ჩვეულებრივ თავად-აზნაურობის კრებაზე. მაგრამ ქარვასლის გამგე კომისიამ არ ინება და ხელი არ მოუნაცვლა მაისამდის გიმნაზიის გამგე კომიტეტს სწორედ მაშინ, როცა იმავე ქარვასლის კომისიას ორმოცი-სამოცი ათასი მანეთის გაღება არა შურს კლუბისათვის დარბაზის გადასაკეთებლად. შეიძლება კლუბი დღევანდელ პირობებში საჭირო იყოს, მაგრამ სასწავლებელი კიდევ უფრო საჭიროა. ღვთის ანაბარად დარჩენილ შვიდას მოწაფის ღარიბ მშობლებისათვის სათავად-აზნაურო გიმნაზია ათასჯერ უფრო სასარგებლოა, სანამ ქარვასლის გამგე კომისიის მიერ განზრახული კლუბი, სადაც ხსენებული ღარიბ თავად-აზნაურობა ათასში ერთხელ თუ გაივლის და ისიც შემთხვევით.

სამწუხაროა, მაგრამ ასეთი კი არის საქმის გარემოება! და ამიტომ, ჩვენის აზრით, თვითეულმა შეგნებულმა ტფილისის გუბერნიის ქართველმა უეჭველად ხმა უნდა აღამაღლოს ამ ჟამად იმ შვიდასს მოწაფის სასარგებლოდ, რომელნიც გიმნაზიაში სწავლის შეჩერების გამო ასე უმწეოდ დარჩენილან ქუჩაში. ამოდენ ხანს თავად-აზნაურობის მთელს საზოგადო საქმეებს განაგებდა რამდენიმე „ბობოლა" თავადი და აზნაური, რომელნიც ყოველ საქმეს და მათ შორის სათავად-აზნაურო გიმნაზიის საქმესაც სრულიად თავის გემოვნებაზე ატრიალებდნენ. ამ ჟამად ცხოვრება სულ სხვანაირად შეიცვალა და ამის მიხედვით თვით ტფილისის გუბერნიის შეუძლო თავად-აზნაურობამაც უნდა შესცვალოს საზოგადო საქმეების მართვა-გამგეობის ტაქტიკა, თვითონვე უნდა ჩაერიოს საქმეში და თავისი საკუთარი საქმე „ბობოლების" მონოპოლიად არ უნდა გახადოს. გუბერნიაში შეუძლო თავად-აზნაურობა უმეტესობაა და, მაშასადამე, თუ კი იგი მხნედ ჩაუდგება საქმეს სათავეში და აქტიურ მონაწილეობას მიიღებს მომავალ თავად-აზნაურობის ჩვეულებრივ კრებებზე, ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ სათავად-აზნაურო გიმნაზიას ნამდვილ საიმედო წყაროს გაუჩენს და სამერმისოდ თავის შვილებს სწავლა-აღზრდის მხრით უზრუნველჰყოფს.

ბანკის მოგება და წაგება ყოველ წლივ ცვალებადია და, მაშასადამე, მისის იმედით მთელის გიმნაზიის შენახვაც საფათერაკოა. სასწავლებელს მუდმივი და საიმედო წყარო უნდა ჰქონდეს დასახული და ასეთ საიმედო წყაროდ ჩვენ მიგვაჩნია თავად-აზნაურობის ქარვასლა, რომელიც უნდა გადაეცეს სრულს საკუთრებად „ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შეუძლო მოსწავლეების დამხმარე საზოგადოებას", რადგან ამას მოითხოვს სხვათა შორის ზნეობრივი მოვალეობაც. ამ ღარიბ თავად-აზნაურთა საზოგადოებამ, როგორც მკითხველს უკვე მოეხსენება, ძველის მარშლის თავად დ. ზ. მელიქიშვილის წინადადებისა და მეცადინეობის თანხმად, თავისი ყოველი ავლადიდება, რომლის ღირებულება მილიონ ნახევარ მანეთს აღემატება, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას გადასცა სრულს საკუთრებად, ხოლო დროებით სარგებლობის უფლება დაიტოვა, ვიდრე საზოგადოება არსებობს. ქარვასლა უნდა გადაეცეს საზოგადოებას იმ პირობით, რომ საზოგადოებამ, თუ ვინიცობაა მოსპო მოქმედება, უკანვე დაუბრუნოს თავად-აზნაურობას ეს მამული, როგორც წესდებაშიაც არის მოხსენებული.

ტფილისის გუბერნიის ღარიბი თავად-აზნაურობა უთუოდ უნდა შეეცადოს ამ აზრის განხორციელებას, წინააღმდეგ შემთხვევაში სათავად-აზნაურო გიმნაზიის არსებობას ყოველთვის განსაცდელი მოელის, რაიცა ისედაც გაღარიბებულ თავად-აზნაურობას ერთ ზედ-მეტ აუტანელ ტვირთად დააწვება.

დასავლეთ საქართველოში

ბაღდადი (იმერეთი). ბაღდადის გადაწვის შესახებ გაზეთებში მოკლე ცნობები იყო. აი უფრო დაწვრილებითი ცნობა. 10 იანვარს მშვენიერი ამინდი დადგა. დილის ათი საათი იქნებოდა, როდესაც რიონის სადგურიდან მოვიდა ყაზახ-რუსთა რაზმი, 120 კაცისაგან შემდგარი, ორის აფიცრის წინამძღოლობით. შემოსვლისათანავე დაჰყვნენ ერთ თავიდან. სრულიად გადაიბუგა 37 დუქანი. გადაიწვა აგრეთვე თვითონ ბაღდადშივე რამდენიმე მოსახლე. ორი კაცი ბეს. ჩხეიძე და რუსი (ბონდარი) დუქნებში გამოიწვნენ. ორი თოფით მოჰკლეს და ორი დასჭრეს. ბაღდადიდან გამობრუნებულნი შეესივნენ სოფ. დიმს. უმეტეს ნაწილად დაიწვნენ აბასთუმნის გზატკეცილის პირად მოსახლენი. დაიწვა ჩალებისა და თივების ზვინებიც. დიმში დამწვარია 8 მოსახლე. ბაღდადის და დიმის ზარალი 120,000 მანეთამდის იქნება. ყვირილის ხიდთან სარბევში გზაზე სრულიად გაიძარცვა და აიხადა სიგუას და ჯაფარიძის დუქნები. ხალხი თავზარდაცემულია. ბევრი შეეხიზნა მთებს. ძე.

გურია. ისეთი აღშფოთებული დრო დაგვიდგა გურულებს, რომ ყველაფრის აღწერა შეუძლებელია. მთელი გურია შეძრწუნებული იყო და ყოველ წამს ელოდა სრულ განადგურებას „სულიან-ხორციანა", როგორც აქ ამბობენ. ადამიანს ვერ ნახავდი, რომ კაცის ელფერი სდებოდა. რაღაც სტიქიურის ძალით დაგვესხნენ თავს და დაიწყო ყველაფრის განადგურება, წვა და ძარცვა-გლეჯა. ამით ისარგებლეს აქაურმა ბნელმა ძალებმაც და ყველაფრით ხელი შეუწყეს ჩვენის ქვეყნის განადგურებას.

მაგრამ დავიწყოთ თავიდან. ჯერ კიდევ 10 იანვარს გავარდა ხმა, რომ ნატანებში ჯარი ჩამოსულა, იქაურობა გადაუწვავს და ეხლა აქეთ მოდის ზარბაზნებით და ტყვიის მტყორცნელებითაო. მაშინვე გაემართა იქითკენ ორი ადგილობრივი ბოქაული და მართლაც, როცა დაბრუნდნენ, სთქვეს, რომ ჯარი მოდის საომარ წესით, სხვა და სხვა მოთხოვნილებებითაო. ამასთან უფროსი თხოულობს ოზურგეთიდან დეპუტაციას მოსალაპარაკებლად და ამას გარდა ბარგისათვის 12 ურემსაო. მეორე დღეს დილა ადრიანად გაუგზავნეს უფროსს ურმები და წავიდა დეპუტაციაც. გზაში შეხვდნენ ჯარს, რომელიც სრულის საომარის წესით მოდიოდა ოზურგეთისკენ. ჯარის უფროსი, პოლკოვნიკი კრილოვი მაშინვე შეჩერდა, მიიღო დეპუტაცია და წარუდგინა მოთხოვნილებანი, რაზედაც დეპუტაციამ უპასუხა, რომ ხალხი ეცდება დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნილებანი, მხოლოდ გთხოვთ, მობრძანდეთ მშვიდობიანად და ყველაფერი გამოუცხადოთ ხალხსაო. კრილოვმა დეპუტაციას აღუთქვა, რომ დაიცავს სრულ მშვიდობიანობას, ნურაფრის შიში ნუ გექნებათო.

ნაშუადღევის ორი საათი იქნებოდა, როცა ჯარი ოზურგეთში შემოვიდა. შემოსვლა და სალდათების და პლასტუნების დუქანში შესევა ერთი იყო. მაშინვე დაატუსაღეს მოხუცებული ალექსანდრე თუმანიშვილი, ტიტიკო ჩხატარაიშვილი, ის. ჩხარტიშვილი და სხვებიც. ჯარი შეცვივდა სახლებში და იწყეს დაბანაკება, განურჩევლად სცხოვრობდა ვინმე შიგ თუ ცარიელი იყო. ხალხი დაფრთხა და იწყო გაქცევა ურმით, ფეხით, ეტლით, ვინც როგორ შესძლო და მოახერხა. ქუჩები გაივსო სალდათებით, ვაჭრებმა დაჰკეტეს დუქნები, იფიქრეს ამით გადავრჩებით ძარცვა-გლეჯასაო, მაგრა ყველგან დაიმტვრა კლიტეები. ტაციობა საღამოს კიდევ უფრო გაცხოველდა. ღამის მეათე საათი იქნებოდა, როცა დუქნებს ცეცხლი გაუჩნდა, რამაც თავზარი დასცა ოზურგეთლებს და ახლო-მახლო მცხოვრებთ. ამ ღამეს დაიწვა ცხრა დუქანი. მეორე დღეს, დილით, ჩავედით ქალაქში. კაცი ვერ გამოსთქვამს, რა სანახავი იყო: არც ერთი დუქანი არ იყო გაუტეხელი, ყველა დაცლილი იყო. რაც ვერ წაეღოთ, დაეტეხათ, დაელეწათ, დაემტვრიათ, დიდი რუმბები დაცლილი იყო, აქა-იქ ეყარა არაყის ბოთლები. ქალაქი სალდათებითა და ხალხით იყო სავსე. შეშინებულ მცხოვრებთა დეპუტაცია წავიდა ბ-ნ კრილოვთან. დიდ ხანს დასჭირდა დეპუტაციას გარედ დგომა. ბოლოს გამოვიდა და როცა მოისმინა ერთის დეპუტატის სიტყვა, რომ სალდათები ურიგოდ იქცევიანო, დაიწყო ხმამაღლა ლაპარაკი, რომ ჩემი სალდათები აგრე თავის დღეში არ მოიქცევიან, ცრუობთ. ნურაფრის ნუ გეშინიანთ, მე მივიღებ ზომებს, რომ წვა აღარ იყოსო. ცოტათი დაიმედებული ხალხი დაბრუნდა სახლში. მაგრამ რაც ამ ღამეს, ესე იგი 12 იანვარს, მოხდა ამან დაგვავიწყა ყველას წინა დღინდელი შიში.

დილამდე თუ არა, რვა საათიდან ხელ-ახლა გაუჩნდა დუქნებს ცეცხლი. უზარ-მაზარ ცეცხლის გუგუნი დილამდის აღარ შეწყვეტილა. ენა ვერ იტყვის, რა განიცადეს ამ ღამეს ოზურგეთში დარჩენილმა ბავშვებიანმა ოჯახებმა. ამასთან იყო ძარცვა-გლეჯაც. აქა-იქ დაესხნენ ქალებსაც. ხალხი სრულიად დაფრთხა, შეშინდა და გაიქცა მარტო ოზურგეთიდან-კი არა, ახლო-მახლო სოფლებიდანაც. იმალებოდნენ სადღაც ტყეებსა და ღრეებში, კარვებში და უკარვოდ ცის ქვეშ ჩვილის აკვნიან ბავშვებით, მშიერ მწყურვალნი.

კვირას, ე. ი. 15 იანვარს, გურიის ყველა კუთხიდან მოვიდნენ წარმომადგენლები და მამასახლისები მოთხოვნილებათა მოსასმენად. ხალხი შეიკრიბა მოედანზე წვიმაში. ჩაამწკრივეს წრედ მაზრის უფროსმა და ბოქაულებმა. ცოტა ხნის ცდის შემდეგ წრეში შევიდა ცხენით თვითონ პოლკოვნიკი კრილოვი, რომელსაც მოჰყვა მთელი ჯგუფი აფიცერთა მხლებლებისა ფეხით. სალამის შემდეგ გამოუცხადა ხალხს შემდეგი მოთხოვნილებანი: დაუყოვნებლივ 18 იანვრის 3 საათამდი გურულებმა უნდა წარმოადგინონ სამი ათასი თოფი „ვინტოვკა", შვეიცარიისა და ბერდანის სისტემისა და ათასი რევოლვერი (ამის შესახებ ხალხმა სთხოვა ვადის გაგრძობა და მანაც ოცდახუთამდის გადასდო), გადაიხადოს ყველა გადასახადები 1 თებერვლამდის; მოიყვანონ ახალი სალდათები და აგრეთვე ძველები, გაქცეულებიც; წარმოადგინონ მეთაურები ათის თავებიდან დაწყებულნი; სალდათის სიკვდილისათვის უნდა აგოს პასუხი ყველამ, ხოლო პოლიციელის სიკვდილისათვის ათმა კაცმა ყოველ საზოგადოებიდან ამორჩეულმა და მერე საზოგადოებამ უნდა შეინახოს პოლიციელის ოჯახი.

ყოველივე გამოაცხადა კრილოვმა გადაწყვეტილის ხმით. გაუწყრა მაზრის უფროსს და თავად-აზნაურთა წინამძღოლის მოადგილეს, რომ ისინი არ აძლევდნენ ცნობებს გურიაში მომხდარ ამბების შესახებ, და წაჰკიდა შინ. აქვე მოედანზე სოფლისა და ქალაქის წარმომადგენელთ აირჩიეს ექვსი კაცი და ხელ-ახლა გაგზავნეს კრილოვთან დაწვრილებით მოსალაპარაკებლად. რამდენსამე საათს დაჰყო დეპუტაციამ პოლკოვნიკთან. შედეგი იყო ის, რომ კრილოვმა უარ-ჰყო ზოგიერთი მოთხოვნილება, მაგ., თოფებს იმდენს აღარ თხოულობს და აგრეთვე არც გადაწყვეტით დროს უნიშნავს. ათის და ასის თავების წარმოდგენა აღარ სცნო საჭიროდ და სხვა.

18 იანვრიდან იწყო ხალხმა ახლო-მახლო სოფლებიდან თოფებისა და რევოლვერების მოზიდვა. მოიტანეს ექადიიდან, მელექედურიდან, დვაბზუიდან, ლეხაურიდან, შემოქმედიდან და სხვა ადგილებიდან. ძარცვა-გლეჯამ, თუმცა ახლო-მახლო სოფლებში განაგრძობენ, მაგრამ მაინც იკლო. მხოლოდ შეშინებული, დამფრთხალი ხალხი ჯერაც ვერ დაბრუნებულა შინ. ბავშვები თითქმის ყველანი ავად დახდნენ ტყეებში. ხალხს ჯერ კიდევ ეშინიან. თუმცა კრილოვი ყველას არწმუნებს, რომ არაფერი იქნება, მე ბრძანება გავეცი, მაგრამ სჩანს, რომ ან არ ასრულებენ იმის ბრძანებას, ან სხვა რაღაც მიზეზია.

დღეს, 20 იანვარს, მოვიდნენ ახალი სალდათები. სოფლებში ჯერ-ჯერობით ჯარს არა ჰგზავნიან, მხოლოდ პლასტუნებმა გუშინ ნაციონალურისა და შავის ბაირაღით სიმღერით გაისეირნეს სოფლისაკენ, მაგრამ მშვიდობიანად დაბრუნდნენ. რაც ქალაქი გადაიწვა, მას შემდეგ გადაიწვა სოფელში მხოლოდ ორი სახლი. ერთი ამ სახლიდან ჩვენებურმა „ხუნხუზებმა" გადასწვეს. უნდა სთქვას კაცმა, რომ ჩვენებურმა ქურდ-ბაცაცებმა, ჩვენდა სამარცხვინოდ, თავი იჩინეს და წვის დროს, როგორც ამბობენ, ურმებით ეზიდებოდნენ თურმე ნაქურდალს. ხალხი ამ ბოლო დროს ცოტ-ცოტა მშვიდდება. ჯერ-ჯერობით აქედან, კეთილ საიმედო მოწმობა თუ არა აქვს კაცს, არსად უშვებენ.

დამსწრე.

ქართლში

გზა-და-გზა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

20 იანვარს ტფილისიდან გორის მაზრაში გავემგზავრე. ტფილისში საზარელი ხმები დადიოდა: ის უბედურება, რომელიც იმერეთში დატრიალდა, ქართლშიაც მეორდება. ვაგონში დაუსრულებელი ლაპარაკი იყო გამართული იმის შესახებ, თუ რომელსა და რომელს სოფელში ენავარდნათ და სად რამდენი სახლი და ქონება მიეცათ ცეცხლისა და მახვილისათვის.

ყოვლად შეუძლებელია გადმოცემა იმისა, სად რამდენი საშინელი და აუტანელი უბედურება დაუტრიალებიათ. როგორც ლაპარაკიდან გამოირკვა, მთელი დუშეთის მაზრა შეხუთულია და არ იცის, სული როგორ მოიბრუნოს. ბევრგან ხალხისთვის უცემიათ, ბევრგან გაუცარცვავთ და ზოგან ბავშვებიც დაუჭერიათ. ხუთი მღვდელი, რომელთა გვარები „ცნობის ფურცელში" უკვე იყო მოხსენებული, ახლაც თურმე ციხეში სხედან, ბევრი მღვდელი თურმე სოფლიდან გაქცეულა და იმალება. მართალია, მათ არავითარი „ცოდო" მთავრობის წინაშე არ მიუძღვით, მაგრამ ამას არავინ კითხულობს: იჭერენ ყველას განუკითხავად.

დაწვრილებითი ცნობები დუშეთის მაზრის შესახებ ვერ გავიგე, მხოლოდ გორის მაზრის, სოფელ ლამისყანის თავგადასავალი რამდენიმე იქაურმა კაცმა სავსებით გადმომცა.

ლამის-ყანა—დაიწყო ერთმა მოხუცმა, რომლის სიტყვებსაც რამდენიმე სხვა კაციც ამოწმებდა,—დიდი და ფხიზელი სოფელია. რაც მანიფესტი გამოვიდა, ამ სოფელში დაიწყო კრებების მართვა, სჯიდნენ სხვადა-სხვა საჭირ-ბოროტო საკითხებზე და ხალხის სიხარულსა და აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა.

გავიდა დეკემბერი და დადგა იანვრის შავი და საშინელი დღეები. მახლობელ სოფლებში ჯარი და ყაზახები ხალხის დაჭერას შეუდგნენ და ლამის-ყანასაც უბედურების მოლოდინში შიშის ზარი დაეცა. 8 იანვარს ღამის 10 საათზე სოფელ ქალიდან, სადაც წარსულის წლის იანვრიდან ყაზახები მუდმივად არიან დაბანაკებულნი, ლამის ყანაში 60 ყაზახი მოვიდა და იმ ღამეს აფიცერს თავად ნიკოლოზ დავითის ძე ერისთავთან დაბინავდა. მეორე დღით, 9 იანვარს, ყაზახთა უფროსმა დაიბარა შეშინებული სოფლელნი, წაუკითხა უკვე დამზადებული სია, და ხალხს მოსთხოვა: 13 იანვრამდე წარმომიდგინეთ ყველა აქ მოხსენებული ასისთავები და მილიციონერებიო. ამასთანავე ამავ დღეს დაიჭირა ამ სოფელში 6 კაცი: კოლა ბეენაშვილი, ილიკო გოგიაშვილი, ილიკო ფალაშვილი, მიხა კობაური, მიხა მაყიშვილი და პოლონელი ივანე როსინსკი. ეს ორნი უკანასკნელნი, რომელნიც თავად ერისთავთან მოურავებად არიან, თავადის თავდებობით იმავ დღეს განთავისუფლებულ იქმნენ, 13 იანვრამდე, რომელ დღესაც ისინი გორის ციხეში უნდა გამოცხადებულიყვნენ, მაგრამ დაიმალნენ.

ამავ დღეს აქედანვე ყაზახთა უფროსმა ყაზახები აფრინა სოფელ რენაში, სადაც შეპყრობილ და ძალზე გალახულ იქმნა გიზო ქერდიყოშვილი, რომელიც ლამისყანაში მიიყვანეს.

უფროსმა დასასრულ ლამისყანელებს გამოუცხადა: მე დანამდვილებით ვიცი, 28 ბერდანის თოფი გაქვთ და ცამეტს იანვარს ჩამაბარეთო, ამასთანავე უეჭველად უნდა წარმომიდგინოთ ხუთი კაცი: შაქრო ონიაშვილი, ლექსო ფოთოლაშვილი, სოლო ლევინიაშვილი, ნიკა თოთოშაშვილი და იაკობ ნონიაშვილი, წინააღმდეგ შემთხვევაში მთელს სოფელს დავანაცრებო. ამ სიტყვებით ისინი წავიდნენ. გზაზე გიზო ქერდიყოშვილი ცემისაგან მოკვდარიყო.

15 იანვარს ხალხს არავითარი პასუხი არ მოუცია. რამდენსამე დღეს ასე გასტანა. 16 იანვარს ყაზახები შეესივნენ სოფელს. დაიწვა ზემოხსენებულ ხუთი კაცის სახლები. გადაიბუგა მიხა ზარიძის სახლიც. ხალხი გმინავს და ამ ჟამად სხვა და სხვა სოფელში იხიზნება.

არა ნაკლები უბედურება 17 იანვარს ქარელშიაც დატრიალებულა. ამ დღეს გორიდან ყაზახები და ჯარის კაცები ასულან და მთელი სოფელი აუწიოკებიათ. დაუწყიათ ხალხის ჩხრეკა და ოცზე მეტი კაცი დაუტუსაღებიათ, რომელნიც 20 იანვარს ვაგონით გორის ციხეში გაისტუმრეს. დასევიან თავად დიმიტრი (მიტო) ციციშვილის სახლს და გაუჩხრეკიათ. არავინ იცის, შიგ იპოვეს რამ თუ არა, მხოლოდ როდესაც ხუთას თუმანზე მეტის ღირებულების ნივთები გარედ გამოუზიდნიათ, ამ უზარმაზარ, ორსართულიან ქვითკირის შენობისთვის ზარბაზნები დაუშენიათ. 12-ჯერ უსროლიათ ზარბაზანი და სახლი სულ დაუქცევიათ. ამის შემდეგ ჯარი ხვედურეთისკენ გამგზავრებულა, მაგრამ ის კი არავინ იცის, იქ რა მოხდა, რადგან ხალხი სოფელს მოწყვეტილია და შიშია, გზაზე არ მოგკლანო, ხვედურეთამდე ამბის გასაგებად ვერ მისულა.

9 იანვარს ჯარის-კაცები, ასამდე, გორიდან წასულან სოფელ გომისკენ. აქ მათთვის ვიღაცას ჩაუგონებია: სოფელ ალის მცხოვრებნი, დიდით პატარამდე, შეიარაღებულნი არიან და საზოგადოდ ეს სოფელი წარმოადგენს მთელის აჯანყებისა და აქაურ ხალხის აზვირთების მიზეზსაო. ჯარის-კაცები თავის უფროსით დიდის სიფრთხილით გამგზავრებულა ალისკენ. დრო გამოშვებით რამდენსამე ჯარის-კაცს ჰგზავნიდა წინ და ათვალიერებინებდა, ხალხი ჩასაფრებული ხომ არ არისო. როგორც ყოფილა, დიდის შიშით მიახლოვებიან ალს, მისულან სოფლის სკოლაში, სადაც მასწავლებელს ძლივს დაურწმუნებია, რომ იქ ხალხი სრულიად დამშვიდებულია და რომ უსაფუძვლოა ის ხმები, ვითომ შეიარაღებულნი რაიმე წინააღმდეგობას აპირობდნენ. ღამით ჯარი სკოლის შენობაში დაბინავებულა. ჯარის უფროსს თურმე ეშინოდა, ღამით ხალხი არ დამეცესო, მაგრამ მასწავლებელს დაურწმუნებია, ალის შესახებ გავრცელებული ხმები ბოროტი გამოგონებაა და თუ გინდათ, რამდენსამე გლეხს დავუძახებ, გიყარაულებენ ღამით და თავდებადაც დაგიდგებიან, რომ ხელს არავინ გახლებთო.

მეორე დილით ჯარის უფროსს ხალხი დაუბარებია, ჩამოურთმევია პირობა საერობო და სახელმწიფო ხარჯების გადახდისა და სხვა საქმეთა შესახებ და შუადღისას სოფელ წაღვლისკენ გამგზავრებულა.

ალში სასტიკი ზომები არ უხმარიათ, მაგრამ მათის მოსვლით ხალხი იმდენად შეშინებულა, რომ მრავალი ოჯახობა ტყეებსა და მეზობელ სოფლებში გაქცეულა, სოფელში არავინ დაუჭერიათ.

ამბობენ, რომ ცხინვალისა და სოფელ ოქონის მახლობლად მდებარე სოფლებში მრავლად არის ჯარი. ბევრგან ცეცხლიც გაჩენილა. ხალხმა თურმე არ იცის, რომელ სოფელში გაიხიზნოს, რადგან ჯარი ყველა სოფლებში დადის. ქართლში მღვდლებიც დაუჭერიათ რამდენსამე ალაგას.

ხაშური ისევ დაცალიერებულია. ბოლო ხანს ხალხი დაბაში ნელ-ნელა ბრუნდება, მაგრამ კიდევ შიშობს, ხელ ახლა არა მოგვივიდეს რაო. გენერალ-გუბერნატორს ბაუერს 18 იანვარს ახალი განცხადება გამოუკრავს; განცხადება დაახლოვებით ასეთის შინაარსისაა: „მოვაგონებ მცხოვრებთ, დაუბრუნდნენ მშვიდობიან ცხოვრებას და ყოველივე სახელმწიფო მოვალეობა დაუყოვნებლივ შეასრულონ. იქ სოფელში, რომელშიაც ერთი ურჩი მაინც გამოჩნდება და ოდნავ გადაუხვევს რუსეთის კანონებს, ჯარი გაიგზავნება ერთად-ერთის მიზნით, რომ მთელი სოფელი, განურჩევლად დამნაშავეთა და მართალთა, მთლად გაანადგურონო. ბოლოს გენერალ-გუბერნატორი სწერს, ახლავე გაფრთხილებთ, რომ ჩემს სიტყვას არ გადავუხვევ და ამ განცხადების ერთ სიტყვასაც, ასოსაც არ დავტოვებ აუსრულებელსაო.

ხაშურის მახლობელ სოფლებში ჩხრეკაა და ის, რაც ამ ჩხრეკას ახლავს. სოფელი ოსიაური ბოქაულს გაუჩხრეკია და რამდენსამე იარაღი აღმოუჩენია. მცხოვრებთ აღუთქვამთ, დღეის შემდეგ ჩვენს მოვალეობას სახელმწიფოს წინაშე შეურყევლად შევასრულებთო, და ბოქაულსაც თავი დაუნებებია. სოფელი აკლებული არ არის.

რ. ბ—ლი

ახალი ამბავი

✦ **ნამესტნიკის თანაშემწეთა გადადგომა.** „რუს. სლ."-სა და სატახტო ქალაქის სხვა გაზეთებში დაბეჭდილია: „კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწენი ბ-ნი სულთან-კრიმ-გირეი და გენერლები მალამა და შირინკინი სამსახურიდან გადადგნენ. გენ. მალამას ნაცვლად დაინიშნა გენერალი ალიხანოვი". ერთი გაზეთი სწერს, რომ ალიხანოვი შირინკინის ადგილზე დაინიშნაო.

✦ **ბ-ნთ სტაროსელსკისა და ყიფშიძის შესახებ.** „ბირჟ. ვედ."-ში დაბეჭდილია ტფილისიდან გაგზავნილი შემდეგი დეპეშა: „ქუთაისის გუბერნატორად და ვიცე-გუბერნატორად ნამყოფნი სტაროსელსკი და ყიფშიძე დამცველ რაზმით ტფილისში მოიყვანეს. ორივეს თვალყურს ადევნებენ, ორივენი სამართალში იქნებიან მიცემულნი უმოქმედობისა და მთავრობის საწინააღმდეგო პოლიტიკისთვის. ამბობენ, რომ არის იმათის დანაშაულობის საბუთებიო. გუბერნატორი სტაროსელსკი შუამდგომლობდა ნამესტნიკის წინაშე ქუთაისიდან ჯარის გაყვანის შესახებ, მაშინ, როდესაც ქუთაისისთვის ჯარი ძალიან საჭირო იყო. ქუთაისის მახლობლად მდებარე სოფლები და თვითონ ქუთაისი რევოლიუციონერების ხელში იყო, მაგრამ არც გუბერნატორს და არც ვიცე-გუბერნატორს არავითარი ძალა არ გამოუჩენიათ. სტაროსელსკი და ყიფშიძე ამბობენ, რომ არავითარი კავშირი არა გვქონია მოძრაობასთანაო. ნამესტნიკმა ცივად მიიღო სტაროსელსკი და გამოუცხადა, გამოძიება ყველაფერს გამოარკვევს, რისთვისაც გენერალმა ალიხანოვმა უკვე მიიღო ზომებიო".

✦ **ქუთაისის გუბერნატორი.** როგორც ოფიციალურად უკვე გამოცხადებულია, ქუთაისის გუბერნატორის დროებით თანამდებობის აღმასრულებლად დაინიშნა ნამესტნიკის საგანგებო საქმეთა მოხელე ოსეცკი.

✦ **გენერლის გამოგზავნა გამოსაძიებლად.** პეტერბურგის გაზეთებში დაბეჭდილია: „გენერალი დუკმასოვი კავკასიასა და დონის როსტოვში გაიგზავნა იქ მომხდარ არეულობების გამოსაძიებლად".

✦ **საომარ დროის სასამართლო.** ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამხედრო უფროსმა პოლკოვნიკმა ნეიგებაუერმა უბრძანა ყველა ნაწილის უფროსებს, თუ ვინიცობაა რკინის გზის მოსამსახურეებმა ან მუშებმა რაიმე საერთო თხოვნა ან მოთხოვნილება წარმოადგინონ, საქმის მოთავენი დაუყოვნებლივ წარმომიდგინეთ საომარ დროის წესით შემდგარ სამართალში მისაცემად. თუ ვინიცობა რამე საერთო საქმისათვის იხმარეს ძალადობა, წესიერება იარაღითვე აღადგინეთო.

✦ **კომისიის წასვლა.** ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამხედრო უფროსის განკარგულებით, დღეს, 24 იანვარს, ტფილისიდან ბათუმისა, ბაქოსა და ყარსისაკენ გავა სამი კომისია. ეს კომისიები ორ კვირას დარჩებიან ლიანდაგზე. კომისიებმა უნდა გამოიკვლიონ და გამოიანგარიშონ, თუ რა ზარალი მოუვიდა ამ ბოლო დროს რკინის გზას როგორც სომეხ-თათართა შეტაკებისა, ისე გაფიცვების და, საზოგადოდ, მოძრაობისა გამო. უნდა გაიგონ, რამდენი ქონებია დაკარგული, სად არის ლიანდაგი წახდენილი და სხვა.

✦ **სამტრედიაში.** სამტრედიაში 18 იანვარს საერთო ჩხრეკა და დაპატიმრება დაიწყო. იჭერდნენ უფრო რკინის გზის მოსამსახურეებს. დააპატიმრეს 15 კაცი. აქედან ზოგი ბათუმის ციხესა და ზოგი ქუთაისის საგუბერნიო საპატიმროში წაიყვანეს. სხვათა შორის, დააპატიმრეს დეპოს უფროსი დეგერინგი და ორი მემანქანე—ელინი და ფრანკიბერგი. ეს ორი, როგორც უკვე დაბეჭდილი იყო, 21 იანვარს ყაზახებმა მოჰკლეს.

✦ **ინჟინრების დაპატიმრება.** დააპატიმრეს ამიერ-კავკასიის რკინის გზის ინჟინრები კალატოზიშვილი, ხუდზინსკი და პავლოვსკი.

✦ **მოსამსახურეთა დათხოვნა.** დასავლეთ საქართველოში ამიერ-კავკასიის რკინის გზის დიდ-ძალ მოსამსახურეს ითხოვენ. სადგურ ბათუმში, რამდენიმე კაცის გარდა, თითქმის ყველანი დაუთხოვნიათ.

✦ **ბათუმში.** ბათუმის ქალაქის მოურავი თ-დი ი. ზ. ანდრონიკაშვილი ტფილისში ჩამოვიდა საქმეებისა გამო. ბათუმში ამ ჟამად, როგორც თვით მოურავმა გადმოგვცა, დაბანაკებული ყოფილა 10 ათასამდის ჯარი. დაბა სოფლებშიც ყოველ დღე იგზავნებ თურმე ჯარი.

✦ **ბრძანება.** ნამესტნიკმა სამხედრო პირთა მიმართ გამოსცა ბრძანება, რომელშიაც ნათქვამია: რადგან ამ უკანასკნელ ამ-

ფელეტონი

რა სჭირდება საქართველოს ეკლესიას?

(ვუძღვნი იმ მამებს, რომელნიც წარსულ დეკემბერს ტფილისში სამხედრო დიქტატურას არ შეუშინდნენ და ჩვენის ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტი შეიმუშავეს).

რა სჭირდება საქართველოს ეკლესიას? სრული დამოუკიდებლობა ანუ ავტოკეფალობა—ისმის ყოველის მხრივ.

მაგრამ სანამ ამ, ჩვენებურ ცენტრალისტებისთვის დამაფრთხობელ, ტერმინს განვმარტებდეთ, საჭიროა მოკლედ თვით ცნება „საქართველოს ეკლესია" განვსაზღვროთ, ე. ი. ვუჩვენოთ მისი არსება, მიზანი და შენადგენობა.

მაშ ასე: რა არის საქართველოს ეკლესია?

იგია—მორწმუნე ქართველთაგან შემდგარი და მსოფლიო კრებათა ძირითად სწავლა-მოძღვრების თანახმად მოწყობილი სარწმუნოებრივი საზოგადოება.

როგორია ამ საზოგადოების მიზანი? მისი მიზანია—თავის წევრების სარწმუნოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და მათი ზნეობრივი სრულ-ყოფა ქრისტეს მცნების თანახმად: „იყავით სრულ, ვითარცა მამა თქვენი ზეციერი სრული არს".

ვისგან შესდგება ეს საზოგადოება? ამ საზოგადოების წევრნი არიან: ჯერ, ყველა მართლმადიდებელი ქართველი, რომელიც კავკასიის საზღვრებში სცხოვრობს და, შემდეგ, საკუთარის სურვილისამებრ, არა-ქართველიც, რომელიც ამავე ტერიტორიის საზღვრებში ან მათ გარეშე იმყოფება.

ასეთია ან, ყოველ შემთხვევაში, უნდა იყოს მაინც, თავის დედა-აზრის თანახმად, საქართველოს ეკლესია.

ახლა ვიკითხოთ განმეორებით: რა სჭირდება დღეს საქართველოს ეკლესიას?

თავისუფლება და მხოლოდ სრული ნამდვილი თავისუფლება, რადგან ზნეობრივ სრულყოფის მიღწევა შეუძლებელია იქ, სადაც სრული ნამდვილი თავისუფლება არ არსებობს.

მაგრამ სანამ „ჩვენს" ბურჟუაზიულ კაპიტალისტურ საზოგადოებაში სრულის თავისუფლების განხორციელება შეუძლებელია, მანამ ეკლესიისთვისაც, როგორც გარდამავალი ფორმა გამგეობისა, საჭირო და მოსახერხებელია დამოუკიდებლობა მხოლოდ იერარქიული ანუ ეგრედ წოდებული ავტოკეფალობა.

რაში მდგომარეობს ეს ავტოკეფალობა?

ა) ჩვენის ეკლესიის სამღვდელოების სხვა ეკლესიათა სამღვდელოებისაგან დამოუკიდებლობაში; ბ) საეკლესიო კანონმდებლობისა და სამართლის უფლებაში და გ) ადგილობრივ საეკლესიო ჩვეულებათა და მღვდელ-მოქმედებათა სხვაობაში.

ასეთია საეკლესიო დამოუკიდებლობა ანუ ავტოკეფალობა, რამდენადაც იგი სხვა თავისუფალ ეკლესიებს შეეხება. მაგრამ ეკლესიის ავტოკეფალობას აქვს მეორე მხარეც, სახელდობრ, განწყობილება სახელმწიფოსთან და საზოგადოდ, პოლიტიკურ პარტიებსა და ორგანიზმებთან.

რა სჭირდება ამ მხრივ ჩვენს ეკლესიას?

მოვიგონოთ: რას უსაყვედურებდნენ ამ ასის წლის განმავლობაში ჩვენს ეკლესიას ან, უკეთ მისს სამღვდელოებას, კერძოდ უმაღლესს ადგილობრივ იერარქიას?

საერო მთავრობისადმი მონობას, მის ბიუროკრატიულ მისწრაფებათა ბრმა იარაღად გახდომას. მაშასადამე საჭიროა—ეკლესია, როგორც ეკლესია განთავისუფლდეს საერო მთავრობისა ანუ სახელმწიფოსაგან.

უეჭველია, ყოველგვარის ცენტრალისმის მოტრფიალენი განცვიფრებით შეგვეკითხებიან: „ეს ხომ სახელმწიფოში მეორე სახელმწიფოს დაარსება იქნებაო?!" მაგრამ სასტიკად შესცდებიან, რადგან ეს მართლაც ასე იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ჩვენის ეკლესიის და სახელმწიფოს მიზანი ერთი და იგივე იყოს; ჩვენ-კი უკვე ნათქვამი გვაქვს, რომ ეკლესიის მიზანი სრულებით პოლიტიკური მიზანი არაა: იგი შეეხება თავის წევრებს მხოლოდ სარწმუნოებრივისა და ზნეობრივ პრინციპის მხრივ, და აზრად არა აქვს შეეხოს მათ, როგორც წევრთ სახელმწიფოსას ან სხვა და სხვაგვარ პოლიტიკურ ორგანიზაციებისას. მართალია, დღემდე ჩვენი სამღვდელოება ერეოდა ხალხის განათლებასა და პოლიტიკურ საქმეებში; მაგრამ ამას სჩადიოდა იგი იმავე საერო მთავრობის ინიციატივითა და დახმარებით. მაშასადამე, ჩვენის ეკლესიის განთავისუფლება სახელმწიფოსაგან—სწორედ ამ ანორმალურის მდგომარეობის შერყევა იქნება.

მაგრამ მხოლოდ შერყევა; რადგან როგორც პაპიზმის ისტორია გვიჩვენებს, თვით უუთავისუფლესი ეკლესიაც კი ან, უკედ, მისი იერარქია ხშირად თავისუფალი არაა ეგრედ წოდებულის „კლერიკალიზმისაგან" (როცა სამღვდელოება ხალხის სწავლა-განათლების საქმესა და პოლიტიკაში ერევა). ამიტომ აუცილებლად საჭიროა განთავისუფლდეს არა მარტო ეკლესია სახელმწიფოსაგან, არამედ—სახელმწიფოც ეკკლესიისაგან.

ასეთია დამოუკიდებლობა ანუ ავტოკეფალობა, რომელიც დღეს ჩვენს ეკკლესიას სჭირდება.

მაგრამ მარტო ამით არ განისაზღვრება ჩვენის ეკლესიის მრავალგვარი საჭიროებანი. რაც აქამდე ითქვა, ეს ეკკლესიის მხოლოდ გარეგანს მდგომარეობას შეეხება. ეკლესიას კი უფრო მეტად შინაგანის ცხოვრებისა და ორგანიზაციის მოწესრიგება ეჭირვება.

როგორი უნდა იყოს ეს ორგანიზაცია?

როგორც სახარებიდან ვიცით, ქრისტეს მოძღვრება და ეკლესია მთლად სინიდისის თავისუფლების პრინციპზეა დამყარებული. სინიდისის თავისუფლება-კი მოითხოვს, რათა ყოველ მორწმუნის ანუ ეკლესიის წევრის სინიდისი უზრუნველ-ყოფილ იქნას სხვა მორწმუნეთა და არა-მორწმუნეთა უკანონო ძალმომრეობისა და თვითნებობისაგან. საამისოდ-კი აუცილებლად საჭიროა—საეკლესიო ცხოვრების მოწყობასა და მართვა-გამგეობის საქმეში, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, ყოველ მორწმუნის (წევრის) სინიდისი, მათი ზნეობრივ—სარწმუნოებრივი შეგნება, თანასწორათ იღებდეს მონაწილეობას, აქედან თავისთავად ცხადია, რომ ჩვენის ეკლესიის შინაგანი წეს-წყობილება და მართვა-გამგეობის საქმე მთლად—ერთიანად კრებითი პრინციპსა და საარჩევნო წესზე უნდა იქნეს დამყარებული. არც ერთს სამღვდელო პირს, არც ერთს საეკლესიო იერარქიის წევრს უფლება არ უნდა ჰქონდეს სამწყსოს ისეთი რამ განკარგულება მისცეს, თვის მოქმედებაში ისეთის კანონებით იხელმძღვანელოს, რაც წინ და წინ თვით ეკლესიის წევრთა ან მათის წარმომადგენელებისაგან არ იქნება მოწონებული და ნება-დართული; არც ერთს სამღვდელო პირს, არც ერთს საეკლესიო იერარქიის წევრს არ უნდა შეეძლოს თანამდებობის აღსრულებას შეუდგეს, თუ იგი თვით ეკკლესიისაგან არ იქნება არჩეული. სამრევლო კრებულს უნდა ირჩევდნენ მრევლში მცხოვრები ყველა სრული-წლოვანი (20 წელს ზემოდ) მორწმუნე კაცი და ქალი, ეპარქიის მმართველს ანუ ეპისკოპოსს—მთელის ეპარქიის მორწმუნეთა და სამღვდელოების წარმომადგენელნი; ხოლო სრულიად საქართველოს ეკკლესიის „თავს", რომელსაც ძველად კათალიკოზს ეძახოდნენ დღეს-კი, შეგვიძლია, ეს სახელი სულაც არ ვიხმაროთ),—ყველა ეპარქიის მორწმუნეთა და სამღვდელოების წარმომადგენელნი, ეპისკოპოსების თანადასწრებით და მონაწილეობით. ამასთანავე, როგორც მრევლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბების გამო სამხედრო პირთა სამსახურში ყოფნა აუცილებელია, ამიტომ სამხედრო პირთ, დაწყებული უფროსიდან უმცროსამდის, ევალებათ, რომ მხოლოდ უკიდურეს მდგომარეობაში დაეთხოვონ ხოლმე სამსახურს.

◆ **მუშების დათხოვნა.** სადგურ ეიბათში მუშებმა უარი სთქვეს ცისტერნი ვაგონების გარეცხაზე და რაღაც მოთხოვნა წარადგინეს. ამისთვის მთავრობის განკარგულებით, მუშები ერთი თვით დაპატიმრებულ იქმნებიან. შემდეგ მათ სამსახურიდანაც დაითხოვენ.

◆ **ჯორჯიაშვილი.** ჯორჯიაშვილი მაინც გონს ვერ მოდის. გუშინაც მთელი დღე თვალ-აუხილველი იწვა. ჯორჯიაშვილს ხელოვნურად ჰკვებავენ.

◆ **გენერალ-გუბერნატორის ბაუერის განკარგულება.** დუშეთის მაზრაში დაბანაკებულ ჯარის უფროსს პოლკოვნიკ დიკს ბრძანება მოუვიდა, რომ თანახმად თქვენისავე მოხსენებისა, დუშეთის სამხედრო ბეგრის საკრებულოს მდივანი ვლადიმერ დაფქვიაშვილი გადაყენებულ იქმნეს თანამდებობიდან, რადგან იგი მთავრობის წინააღმდეგ პროპაგანდას ეწეოდა ახლად გაწვეულ ჯარის კაცთა შორის და ხელს უშლიდა ჯარში გაყვანის საქმესაო. დაფქვიაშვილს ამასთან ერთად აეკრძალა ბაუერის საგენერალ-გუბერნატოროში ცხოვრება.

◆ **ცვლილება დუშეთის ადმინისტრაციაში.** დუშეთის მაზრის უფროსი ა. ნ. ფონ-ბაუმგარდენი გადაყენებულ იქმნა თანამდებობიდან და იმის ადგილას დაინიშნა საგუბერნიო სამხედრო ბეგრის საკრებულოს წევრი პოდპოლკოვნიკი დუბონოსი, ახალქალაქის უფროსად ნამყოფი. ფონ-ბაუმგარდენს ჰბრალდება ის, რომ დუშეთის მაზრიდან კენჭში გასაყვან ყმაწვილ კაცთა მოთხოვნილებანი მთავრობას წარუდგინა და ზოგი მუხლიც მათი მოთხოვნილებისა მოიწონა.

◆ **პროტესტი.** სოფლის სამღვდელოებამ, რომელსაც სასინოდო კონტორიდან დაეგზავნა ბლანკები მეტრიკებისთვის, უკანვე დაუბრუნა ეს ბლანკები.

◆ **მღვდლის დაპატიმრება.** ქ. გორში დაუპატიმრებიათ ადგილობრივ სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი მღვდელი ფ. პ. კარბელაშვილი.

◆ **სომეხთა დეპუტატები.** როგორც მკითხველებმა იციან, ნამესტნიკის კანცელარიასთან მოხდება სომეხთა და მაჰმადიანთა წარმომადგენლების კრება. ტფილისში სომეხთა 33 ეკლესიის სამრევლოებმა აირჩიეს სამ-სამი რწმუნებული. ამ რწმუნებულებმა, რიცხვით 99 კაცმა, 22 იანვარს აარჩიეს წარმომადგენლნი. წარმომადგენლებად მოჰყვნენ: ა. ი. ხატისოვი, ა. ა. ქალანთარი, ა. მელიქ-აზარიანცი, გ. ნ. სტეფანოვი, ი. ამირხანოვი, ა. არაქელიანი, გ. ათაბეგოვი, ვექილი სპენდიაროვი, ა. ს. ბაბოვი, ეპისკოპოსი ნახაპეტი, პ. ღამბაროვი და მ. დოლუხანოვი.

◆ **ქართული საზოგადოება ბაქოში.** ბაქოში მცხოვრებ ქართველებს, რომელთა რიცხვი თანდათან დიდდება, განუზრახავთ „ქართულ წიგნის გამომცემელ საზოგადოების" დაარსება. წესდება უკვე წარდგენილია. პირველად განზრახვა აქვთ გამოსცენ სურათებით ალ. ნათაძის „ბავშვის მოვლა".

◆ **სომეხთა კათალიკოსის წასვლა.** სრულიად სომეხთა კათალიკოსი დღეს მიემგზავრება ეჩმიაძინს.

◆ **ბანკის კრება.** 26 იანვრიდან სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკში დაიწყება კრებები მსესხებელთა რწმუნებულების ამოსარჩევად.

◆ **სწავლის ფასის მომატება.** კავკასიის ქალთა ინსტიტუტში მოუმატეს ფული იმ ქალებს, რომელნიც თავიანთ ხარჯით ინახებოდნენ. შესანახი ფასი ამიერიდან დაწესდა 360 მანეთი წელიწადში.

◆ **ტფილისის დამცველ ჯარის უფროსი.** ტფილისის დამცველ უფროსად (Начальникъ охраны) დაინიშნა გენერალ-მაიორი გორჩაკოვი.

◆ 22 იანვარს, საღამოს $10^1/_2$ საათზედ, წყნეთის და ვარდისუბნის ქუჩების შესართავთან მაისურაძის სახლში მცხოვრებ კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლოს ბრალმდებლის თანაშემწეს ვასილიანოვს ბინაზედ შეუვარდა რამდენიმე შეიარაღებული კაცი. შეცვივნულთ ჯერ მოსამსახურის ხნობა დაუწყიათ. ხმაურობა გაუგია პოლკოვნიკ ვასილიანოვს, ცოლთან ერთად გარედ გავარდნილა და ყვირილი დაუწყია. ვიდრე პოლიციელები გაჩნდებოდნენ, ბოროტმოქმედთ წაუღიათ ფულად 100 მან; ოქროს საათი, ვერცხლის ნივთები და გადამალულან.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

პეტერბურგი, 22 იანვარი. გენერალი გროდეკოვი კავკასიის ნამესტნიკად არ დაინიშნება, რადგან მანჯურიაში გზავნიან გენერალ ლინევიჩის მაგიერ.

◆ არხანგელსკში ყოველდღე გზავნიან ბევრ პოლიტიკურ ტუსაღს, ხარკოვისა და კავკასიის რაიონებიდან გამოგზავნილთ; ამ დღეებში 300 კაცი გაგზავნეს, ყველას ბორკილი ადევს; მათ შორის მცირე წლოვანი გიმნაზისტებიც არიან.

◆ ამ დღეებში გამოცხადდება ახალი კანონი სიკვდილით დასჯის შესახებ; ამ სასჯელით დასჯიან პოლიტიკურ მკვლელობის ჩამდენთ.

◆ ადგილ-მამულის ექსპროპრიაციის საკითხი, აღძრული კუტლერის პროექტით, უარყოფილ იქმნა სრულებით.

◆ დღეს ანთავისუფლებენ საპატიმროებიდან პეტერბურგის მუშათა დეპუტატების საბჭოს 120 წევრს.

◆ 21 იანვარს მოხდა მესამე სხდომა უწმ. სინოდის კომისიისა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ. კომისიის წევრთა შორის ურთიერთობა გამწვავდა. ცხარე კამათი გამოიწვია ზოგიერთ იერარქის განცხადებამ—საქართველოს ეკლესია არასოდეს არ ყოფილა დამოუკიდებელიო. ეპისკოპოსების კირიონისა და ლეონიდის ენერგიულ ახსნისა და შეურყეველ საბუთების შემდეგ სათათბირომ აღიარა, საქართველოს ეკლესია ძველად ავტოკეფალური ყოფილაო. შემდეგი სხდომა ორშაბათს, 22 იანვარს იქნება.

◆ ხარკოვში მოვიდა ხუთი ვაგონი პოლიტიკურ ტუსაღთა კავკასიიდან გამოგზავნილი; ყველანი ადგილობრივ ციხეებში მოათავსეს სანამ ჩრდილოეთისაკენ გაგზავნიდნენ.

◆ ფინანსთა სამინისტრომ სცნო, რომ ამიერ-კავკასიის სოფლის მემამულენი დიდ გაჭირვებაში არიანო და გადასდო იანვრის გადასახადების ვადა; შეაჩერა აგრეთვე იმ დაგირავებულ მამულების გაყიდვა, რომელთა პატრონთ სავადო გადასახადი არ შეუტანიათ.

◆ სენატორი კუზმინსკი თავის ანგარიშში იხსენიებს გოლიცინის დროს ჩვენში დაწესებულს საერობო-საპოლიციო სადარაჯო რაზმს და ამბობს სხვათა შორის: ამ რაზმზე 3 მილიონ მანათამდე იხარჯებაო და უვარგისი-კი არისო.

◆ სენატმა აღიარა, რომ იმ აფიცრებს, რომელთაც თანამდებობა არა აქვთ ან სამოქალაქო ნაწილის თანამდებობა აქვთ, ნება ეძლევათ სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში მიიღონ მონაწილეობაო.

◆ ლეიტენანტის შმიდტის საქმის გარჩევა 3 თებერვლამდე გადიდო, რადგან დამატებითი გამოძიება დასჭირდათ.

◆ სახელმწიფო საბჭომ შეიწყნარა პროექტი, რომლის ძალით ყველას, ვისაც დაბრალდება პოლიციის მოხელისა ან ჯარის კაცის ან ადმინისტრაციის მსახურის მოკვლა და მოკვლის განზრახვა პოლიტიკურის მიზეზით, სამხედრო სამართალში მისცემენ.

◆ სპარსეთის შაჰის ძმა ამბობს, სპარსეთში დაუყოვნებლივ იქნება დაწესებული კონსტიტუციაო.

პეტერბურგი, 21 იანვარი. „რუს"-ში დასტამბულია წერილი ლეიტენანტ შმიდტზე. წერილის ავტორი ქალია, რომელსაც ნება აულია შმიდტის ნახვისა. შმიდტი შემთხვევით მოხვედრია სევასტოპოლის ტრაგედიაში. მას წილი არ უდევს სევასტოპოლის აჯანყებაში; ყველაფერი მაშინ გაუგია, როცა ადესაში აპირებდა წასვლას, მაგრამ, რადგანაც იცოდა, რომ მატროსები ძლიერ სცემენ მას პატივს, გადასწყვიტა დაემშვიდებინა იგინი და წავიდა ჩუხნინისთვის ეთხოვნა, რომ არ დაეწყო მათი დახვრეტა. იქამდე არ მიეღო იგი ჩუხნინს. „ოჩაკოვ"-ზე იგი გაიწვიეს თავიანთ მატროსებმა, იქ იგი უმტკიცებდა მათ, რომ უაზროა მოუმზადებლად პროტესტის განცხადება, მაგრამ გვიან-ღა იყო. აჯანყება დაიწყო. „როსტისლავ"-ზე. აფიცრებმა ჩააყენეს იგი, სრულიად ტიტველი ყარაულებს შორის, კაიუტკომპანიაში, სადილობის დროს, მას დასცინოდნენ და აგინებდნენ უშვერის სიტყვებით, მთელი დღე და ღამე ჰყავდათ შმიდტი და მისი შვილი შიშველ-ტიტვლები, უწყალწმინდოთ, ელექტრონის სინათლეზე. ორივე იატაკზე იწვნენ და ერთმანერთს ეხუტებოდნენ, რომ გამთბარიყვნენ. მახლობლად მიმავალი აფიცრები დასცინოდნენ მათ. შმიდტი არ გაქცეულა „ოჩაკოვ"-იდან. იგი უკანასკნელი ჩამოვიდა. იგი უკიდურესი იდეალისტია, ისეთ ალტაცებაში მოვა ხოლმე, რომ ზოგჯერ გიჟი გეგონებათ. სიკვდილისთვის გმირულად ემზადება და არას გზით არ უარჰყოფს თავის რწმენას, მაგრამ ძლიერ სწყურიან სიცოცხლე და ცხარე სურვილს აცხადებს კონ.-დემოკრატების პარტიაში შესვლაზე.

შინაგან საქმეთა მინისტრმა უარი უთხრა ებრაელების ხალხის უფლებრივ თანასწორობის კავშირს პეტერბურგში კრების გამართვაზე.

ქუთაისის ამბები

◆ ჯარის თავგასულობამ არა თუ მცხოვრებნი, თვით გუბერნიის მმართველი ნ. პ. პრინციც დააფიქრა. ბ ნ პრინცს, როგორც ისმის, გენერალ ალიხანოვის ყურადღება მიუქცევია ჯარის მოქმედებასა და აქედან წარმომდგარ ხალხის შევიწროვებაზე. საღამოს ხუთი საათიდან, უთქვამს ნ. პ. პრინცს, კაცი გარეთ ვეღარ ბედავს გასვლას, ვაჭრებმა, რაც-კი რამ ებადათ სავაჭრო საქონელი, მაღაზიებიდან ზოგი სახლში წაიღეს და ზოგი საწყობებში შეინახეს. მეფურნეებს სტაცებენ პურს და სხვა მრავალ ამგვარ საქმეებს სჩადიანო. გენერალი ალიხანოვი დაჰპირებია, რომ შესაფერ განკარგულებას მოვახდენო, და მართლაც 20 იანვარს გამოუცხადებია ქუთაისში დაბინავებულ ჯარებისათვის, რომ ყოველი ძალ-მომრეობა ჯარის მხრივ, გინდა უდროვოდ ჯარის კაცების გამოსვლა ყაზარმებიდან, სასტიკად იქნება დასჯილიო. იმედი ვიქონიოთ, რომ ქუთათურები გადარჩებიან იმ გაჭირვებას, რომელშიაც ჩავარდნენ.

◆ ქუთაისის პოლიცმეისტერის მოვალეობას ასრულებს ბოქაული ტერ-ანტონოვი.

◆ ადგილობრივ გაზეთებში მოყვანილი ცნობა, ვითომ გუბერნატორის საგანგებო საქმეთა მოხელე ა. ი. ანანიაშვილი მომრიგებელ მოსამართლედ არის დანიშნული, სიმართლეს მოკლებულია.

◆ ქუთაისის ქუჩებში 20 იანვრიდან გამოჩნდნენ ქალაქის პოლიციელები (გოროდოვოი), რომელნიც თითქმის ორის თვის განმავლობაში ჯერ გაიფიცნენ და მერე დათხოვნილ იქმნენ ქალაქის გამგეობისაგან.

◆ ს. ტეზერში ჩაყენებულია ერთი სოტნა ყაზახებისა. ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებნი მეტად შეშინებულნი არიან,—ვაი თუ გადაგვწვან ან გაგვანადგურონო.

◆ სენაკის მომრიგებელი მოსამართლე როტმისტრი მხეიძე დაინიშნა ქუთაისის საერობო რაზმის ინსპექტორად. ეს თანამდებობა ნამესტნიკის განკარგულებით და ყოფილ ინსპექტორის ფონ-დერ-ნონეს წასვლის შემდეგ, თითქმის გაუქმებული იყო და ეხლა, როგორც სჩანს, საერობო რაზმს აახლებენ მთელის თავის ატრიბუტებით.

◆ სამხედრო ხალხი მთლად გაბატონდა ქუთაისში. დღე ისე არ გაივლის, რომ რამდენიმე ვაჭარი არ გაიგლიჯოს. სხვა საგნებთან ერთად ნაბადი აკრძალული შეიქნა. ქუჩაზე თუ ნაბდიანი ნახეს ვინმე, მაშინვე ართმევენ, „თქვენ ნაბდებს იმიტომ ისხამთ, ამბობენ ყაზახები, რომ იარაღის დამალვა გინდათო". ნაბადი, მოგეხსენებათ, იმერეთში ერთად-ერთი დასათბუნებელი ტანსაცმელია და ამის ტარებასაც-კი უკრძალავენ ხალხს.

◆ რევოლიუციის დროს მიჩქმალულმა საერობო დარაჯებმა კვლავ ამოჰყვეს თავი. როცა საჭირონი იყვნენ მიიმალნენ და თუ არ ათი კაცი ერთად, ისე ვერსად მიდიოდნენ; ეხლა მოსულ ჯარით დაიმედებულნი, მამაცად გაიყურებიან და მზად არიან ტყავი აძრონ დამორჩილებულ და მიწასთან გასწორებულ გლეხს.

◆ 13 იანვარს დატუსაღებულნი 15 იანვარს გაანთავისუფლეს. გამოირკვა, რომ ვიღაცას მოუხდენია განკარგულება დატუსაღების შესახებ და ჰქონდა თუ არა უფლება ასეთის განკარგულებისა, არავინ იცის. შესანიშნავი ის არის, რომ დატუსაღებულთა უმრავლესობა ისეთი პირნი არიან, რომელთაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ არსებულ ორგანიზაციებთან.

◆ ზუგდიდის მაზრის უფროსად ნამყოფი ცნობილი კელამოვი დაინიშნა ქუთაისის მაზრის უფროსად.

პრესსა

გაზეთს „ნოვოე ვრემიას" ტფილისიდან ვიღაც ნ. ნ. კავკასიის ამბებს ატყობინებს, თავის კორესპონდენციას „კავკასიის არეულობას" უწოდებს და, რა თქმა უნდა, ფრჩხილის ტოლა ნამდვილს აქლემის ტოლ ტყუილს უმატებს იმ განზრახვით, რომ გაზეთის მკითხველს კაციჭამიური „მტკიცე მთავრობის" პოლიტიკა კავკასიისთვის აუცილებელ საჭიროებად ეჩვენოს. 22 ოქტომბრის ამბავს, მაგალითად, ისე ასწერს, ვითომც ამ დღეს „რუსულ გრძნობას" მშვიდობიან მანიფესტაციის გამართვა სდომებოდეს, მაგრამ „ბუნტოვჩიკებს" პირველ გიმნაზიის შენობასთან საფარი გაეკეთებინოთ და აი აქედან დასხმოდნენ თავს, ერთად რამდენიმე თოფი თუ რევოლვერი დაეხალნათ მანიფესტანტებისთვის; ვითომც ამის შემდეგ აეტეხნათ სროლა „ტიფლის. ლისტოკის" რედაქციიდან, ტფილისის საკრებულოდან, მეზობლად მდებარე სახლებიდან და სასტუმროებიდან; ერთი სიტყვით, მუხანათურად დარევოდნენ „რუსულ გრძნობით" აფრთოვანებულ მანიფესტანტებს და მხოლოდ სალდათების წყალობით გადარჩენოდნენ ცოცხალი თუ ყველა არა, ზოგი მანიფესტანტი მაინც.

ჩვენის ქვეყნის ფაქტებს „ნოვოე ვრემია" მაინცა და მაინც არც წინად ასწერდა ხოლმე სიმართლით და ამიტომ თითქოს ჩვეული ვართ ამ გაზეთისაგან სიმართლის დამახინჯებას, მაგრამ წინად თუ ფაქტების დამახინჯებას აზრად „ტუზემცების" დამცირება და წიხლ-ქვეშ გაგდება ჰქონდა, ეხლა ამ მიზანთან ერთად „ნოვოე ვრემია" სცდილობს კავკასიის უმაღლესს ადმინისტრაციასაც უმწვიტინოს. 18—20 ოქტომბრის შემდეგ სომხების და ქართველების ბრბოები ქუჩა-ქუჩა ათას საძაგლობას ჩადიოდნენ, მაგრამ „ბუნტარების" შესაკავებლად არავინ არა ზრუნავდა, მხოლოდ იმას მეცადინეობდნენ, რომ ეს ბრბოები ნამესტნიკის სასახლესთან არ მიეშვათ და „მისი ბრწყინვალება არ შეწუხებულიყო". „ნოვოე ვრემიას" არ მოსწონს, რომ კავკასიის ადმინისტრაციის უმაღლესმა წარმომადგენელმა სიმკაცრის მაგიერ ლმობიერება გამოიჩინა.

გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი ტფილისკენ ხელში ბზის ტოტით გამგზავრა, იგი მიდიოდა კავკასიაში როგორც გულწრფელი დამცველი ადგილობრივ ინტერესებისა, მე კი ვფიქრობ, სწერს „ნოვოე ვრემია", რომ ყველა მხრის უფროსი საერთო სახელმწიფო ინტერესების დამცველი უნდა იყოს და ადგილობრივი ინტერესები კი მხოლოდ იმდენად დაიცვას, რამდენადაც ეს არ ეწინააღმდეგება საერთო სახელმწიფო ინტერესებს.

გაზეთის კორესპონდენტს არ მოსწონს, რომ გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი კავკასიაში იმ განზრახვით წავიდა, რომ შემოქმედებითი მუშაობა დაეწყო; კავკასიისთვის საჭიროა ჩანლება და არა შემოქმედებაო.

ჩრდილოეთ-დასავლეთ მხრის ჩანლება მურავიოვმა ისე შეასრულა, რომ სამაგალითოდ ცოტა მსხვერპლი შეეწირა ამ საქმეს. ამ ჩანლების დროს დაღუპულ მსხვერპლის რიცხვის შედარება იმასთან, რაც უკვე დაიღუპა, იღუპება და კიდევ დაიღუპება კავკასიაში ნამესტნიკის „ბზის ტოტის" ქვეშ, სწორედ სასაცილოა... თქმა არ უნდა, გაცილებით უფრო საამოა ხალხში სახელის მოხვეჭა რუსეთის ხარჯზე, ვიდრე სასტიკი აღსრულება სამსახურის ვალისა. პირველ შემთხვევაში ადმინისტრატორს მოელის „ვივატები" და თვალთმაქცური ქება-დიდება „ინოროდცების" მწერლობისაგან, მეორე შემთხვევაში კი—ტყვია ხანჯალი და ბომბები, მაგრამ ჩვენ, ე. ი. იმათ, ვისთვისაც მმართველობენ, უნდა შევადგინოთ თუ არა მართალი შეხედულება ორსავე ტიპის მმართველებზე? ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ ამ გვარად ხალხში სახელის მოხვეჭისთვის ვისმეს ცრემლი ჩამოჰვარდება, სისხლი დაედინება. მაგრამ თვით ეს სახელიც ყალბია და ცბიერი; ამ გვარს მმართველს ყველაზე უწინ ისინი შეუქცევენ ზურგს, ვის თვალშიაც იგი სახელს იკეთებდა და, როცა მარჯვე დრო დაუდგებათ, კიდეც აგრძნობინებენ ამას.

ერთს წერილში (იმავ „ნოვოე ვრემიაში" დაბეჭდილმა) გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს „გამოცდილი, ერთგული მეგობარი" უწოდეს... მაგრამ ვისი მეგობარი? წერილის საერთო ხასიათიდან ირკვევა, რომ იგი მეგობარია კავკასიელ „ტუზემცებისა", ე. ი. სომხებისა, ქართველებისა, იმერლებისა, გურულებისა, ოსებისა და სხვა და სხვა. უბედურებაც ისაა, რომ ყველა ჩვენს „ინოროდცებს (არა რუსებს) თავის გამოცდილი და ერთგული მეგობრები" ჰყავთ ამა ქვეყნის ძლიერთა შორის, მხოლოდ ერთად ერთს რუსის ხალხს არა ჰყავს ასეთი მეგობრები...

გულახდილობა და ურცხვი გამოფენა გაზეთის ფურცლებზე კაცი-ჭამიურ გრძნობებისა ამაზე შორს არა გვგონია კიდევ შეიძლებოდეს წავიდეს სადმე. „ნოვოე ვრემიას" პუბლიცისტებს და მის დამქაშებს, ჩვენი ქვეყნის საკირედ გადაქცევა ჰსურდათ, მურავიოვის რეჟიმის გამეფება სწყუროდათ, განუწყვეტლივ უსისინებდნენ რუსის ხალხს და ადმინისტრაციას, „ჰკა ინოროდცებს, ჰკა შეუბრალებლადო" და აჰა დასტკბნენ, იამონ, ნახევარი საქართველო ცეცხლის ალშია გახვეული.

⁂

კვირას, 22 იანვარს, გამოვიდა პირველი ნომერი სომხურ ყოველ კვირეულ ჟურნალის „აშხატანქ"-ისა (შრომა). ამ ჟურნალის რედაქტორ-გამომცემელად აშოტ ათანასიანია. როგორც ჟურნალის პირველ ნომრიდანა სჩანს, რედაქცია მკითხველებსა ჰპირდება, რომ ჩვენი ორგანო იქნება მშრომელ ხალხის (სოფლის მუშის) და პროლეტარების ინტერესების დამცველიო. იმედია, ჟურნალი არ გადაუხვევს დაპირებულ გზას. ჩვენც ვუსურვებთ მეტს მხნეობასა და წარმატებას ხალხის საკეთილდღეოდ.

თეატრი და მუსიკა

ოპერა ქართულად

წავიკითხე განცხადება, კვირას, 22 იანვარს დილით, წარმოდგენილი იქნება ქართულად ოპერა „დემონიო". მე ქართული სიმღერა-გალობა და ხელოვნება მიყვარს და ამისათვის გავსწიე დანიშნულს დროს სახაზინო თეატრისკენ. სრული შუადღე იყო. მივედი თეატრის შენობასთან, სადაც მრავალს ხალხს მოეყარა თავი. გაისმოდა აქეთ-იქიდან: „ნუ შეხვალთ, თეატრს ააფეთქებენ ისინი, ვინც ქართულ ოპერის წინააღმდეგნი არიანო. წარმოიდგინეთ, ამ სიტყვებმა გასჭრა და ბევრმა დაიშალა თეატრში შესვლა და შინისკენ გასწია. შევედი თეატრში. დაიწყო სიმღერა მომღერალთა გუნდმა, გათავდა ეს სიმღერა და ასტყდა მსმენელთა შორის „ვაშას" ძახილი და ტაშის კვრა. გაჩნდა დემონი კავკასიის კლდეზედ. დემონის პარტიას ასრულებდა ახალ-გაზრდა სცენის მოყვარე დავით გედევანიშვილი, ხოლო თამარისას—დიდის ხნის ცნობილი ქ-ნი ძნელაძისა. დამსწრე საზოგადოებამ პირველ მოქმედებაშივე მოიწონა მომღერალნი. ორკესტრს ხელოვნურად განაგებდა ბ-ნი ფოლიაშვილი.

გათავდა პირველი მოქმედება, ფარდა ჩამოეშვა, ხალხი აიშალა და გაიმართა ბაასი. აქეთ-იქიდან ისმოდა: „მშვენიერებაა, მშვენიერება! ბარიტონი საუცხოვოა, ხმა მარილიანი აქვს, გულით და სულით მღერის. თამარს სუსტი ხმა აქვს, მაგრამ გულითა მღერისო". სინოდალის პარტიას მღეროდა და კარგადაც მღეროდა ილია კარგარეთელი. მეორე მოქმედებაში ყურადღება მიიქ-

---

ში, ისე ეპარქიაში, აგრეთვე „კათალიკოზის" გვერდითაც უნდა დაარსებულ იქნას წარმომადგენლობითი ორგანოები—სამრევლო, საეპარქიო და საკათოლიკოზო საბჭოები, რომლებშიაც ერისგანთა და სამღვდელოების წარმომადგენელთა რიცხვი ან თანასწორი უნდა იქნეს, ან და ერისგანთა რიცხვი, სულ მცირე ერთი-ორათ მაინც უნდა" აღემატებოდეს სამღვდელოების წარმომადგენელთა რიცხვს. არც სამრევლო კრებულს (მღვდელსა და მედავითნეს), არც ეპისკოპოსს და არც „კათალიკოზს" უფლება არ უნდა ჰქონდეთ, აღნიშნულ ორგანოთა დაუკითხავად ისეთი რამ მოიმოქმედონ, რაც საერთოდ თვითეულის მათგანის რაიონს შეეხება. ხოლო ყველა ამათზე ზემოდ უნდა იდგეს სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება,—მორწმუნეთა და სამღვდელოების წარმომადგენელთაგან იმავე პროპორციით (2: 1) შემდგარი,—როგორც საეკლესიო საქმეების უზენაესი გამგე-მეთვალყურე, კანონმდებელი და მოსამართლე პერიოდული ორგანო. საეპარქიო საქმეთა სფეროში ამავე დანიშნულებას უნდა ასრულებდეს—საეპარქიო კრება, (იმავე პროპორციით შემდგარი); ხოლო მრევლში—სამრევლო კრება, ყველა სრულ წლოვან მორწმუნეთაგან შემდგარი, სქესის განურჩევლად.

დასასრულ, აუცილებლად საჭიროა შეიცვალოს აწ არსებული წესი სამღვდელოების რჩენა-შენახვისა.

როგორც ვიცით, დღეს ჩვენი სამღვდელოება ჯამაგირს ხაზინიდან იღებს, ხოლო წვრილ შემოსავალსა და „დრამას"—პირდაპირ ხალხისაგან. პირველი გარემოება მას აჯაჭვავს სახელმწიფოზე და ამდენათვე აშორებს ხალხს; მეორე გარემოება კი—აერთებს ხალხთან და ამდენათვე აშორებს სახელმწიფოს. აქედან წარმოსდგება ორჭოფი მდგომარეობა სამღვდელოებისა და ხალხის ურთიერთობაში: სამღვდელოება მთლად არც ხალხს ეკუთვნის და არც სახელმწიფოს, არც მთლად ხალხისაა და არც სახელმწიფოსი. აუცილებლად საჭიროა, ეს ანორმალური მდგომარეობა მოისპოს და სამღვდელოება ნივთიერადაც მხოლოდ მას ეკუთვნოდეს, ვისაც იგი სჭირდება, ე. ი. მრევლს ანუ მორწმუნეებს. ამიტომ საჭიროა—სამღვდელოებამ გადაჭრილი ჯამაგირი პირდაპირ ხალხისაგან ანუ ეკკლესიის წევრთაგან მიიღოს და არა სახელმწიფო ხაზინიდან, როგორც ეს დღემდე იყო. ასეთია პრინციპიალური გადაწყვეტა ამ საკითხისა.

მაგრამ რადგან თვით ის ფულიც, რომელსაც დღეს მთავრობა ჩვენს სამღვდელოებას ჯამაგირად აძლევს, იმავე ხალხის ოფლითაა შექმნილი; რადგან ის საეკლესიო მიწები, რომელნიც ბიუროკრატიულმა მთავრობამ ძალადობით ხაზინას გადასცა, იმავე მშრომელ ხალხისა იყო და არის,—ყოველისავე ამის გამო, სანამ აღნიშნული მიწები ფაქტიურადაც მშრომელ ქართველ ხალხსავე არ გადასცემია სრულ საკუთრებად და სანამ ზემო-აღნიშნული ჯამი ხალხის სახაზინო გადასახადებიდან არ გამოურიცხავთ, მანამდე ჩვენს სამღვდელოებას ზნეობრივი უფლება არა აქვს პირდაპირ და მხოლოდ ხალხს დააწვეს სარჩენად.

ამიტომ, სანამ სამღვდელოების რჩენის საკითხს სრულიად რუსეთის ან კერძოდ კავკასიის დამფუძნებელი კრება საბოლოოდ გადასწყვეტდეს,—სახელმწიფო ვალდებულია სამღვდელოებას ჯამაგირი აძლიოს; ხოლო მრევლმა მისცეს იმდენი, რამდენიცა სურს და შეუძლიან.

ასეთია, როგორც ვიცით, ძირითადი პრინციპები, რომელნიც ჩვენის სამღვდელოების წარმომადგენელთა ორგანიზაციულმა კრებამ წარსულ დეკემბრის სხდომებზე წამოაყენა, მისცა მათ შესაფერი გამოხატულება და თავის პროექტს საფუძვლად დაუდო.

და ჩვენც მეტი რაღა დაგვრჩენია, რომ ამ ნამდვილ დემოკრატიულსა და თან ქრისტიანულ-საკაცობრიო პინციპებს სრული გამარჯვება ვუსურვოთ.—მხოლოდ საჭიროდ ვრაცხთ, ჩვენს პროგრესიულ მამებს შემდეგი მეგობრული რჩევა მივცეთ.

უკეთუ სამღვდელოებას გულწრფელად სწადიან ზემო აღნიშნულ პრინციპებს ცხოვრებაში გამარჯვება მოუპოოს, აუცილებლად საჭიროა სამღვდელოება ხალხს შეუერთდეს და, თავის ღირსების შესაფერ იარაღით, მასთან ერთად იბრძოლოს; რადგან, კარგად უნდა ესმოდეს, რომ, თუ ხალხი ვერ გაიმარჯვებს, ვერც ეკლესია გაიმარჯვებს, და თუ ყოველგვარი თავისუფლება არ იქნება უზრუნველ-ყოფილი, ისე ვერც ეკლესიისა და სინიდისის თავისუფლება დარჩება ხელ-შეუხებელი.

ვალსამონი.

ცია აგრეთვე ხორომ, სინოდალის მხლებელთა გუნდმა. მესამე მოქმედებაში დიდი ტაში და აღტაცება გამოიწვია ლეკურმა და ჩონგურმა.

საგანგებოდ შესრულა გედევანიშვილმა „ვეფიცავ“. საერთოდ, ოპერამ რიგიანად ჩაიარა. **ყორნისელი.**

წერილები

ს. ხიდისთავი (ქართლი). რეაქციამ აქაც იჩინა თავი, ხალხი თავზარდაცემულია, რადგან ახლო-მახლო სოფლებში მრავალი შემთხვევები იყო ძარცვა-გლეჯისა და ცეცხლით განადგურებისა. ბევრს ძალიან მოსწონს ასეთი მდგომარეობა. ასეთები არიან სოფლის პატარა ბიუროკრატები. უნდა ნახოთ, მაგალითად, ჩვენი მამასახლისი და მისი დამქაშები, რა გაცოცხლება და სიხარული ეტყობათ სახეზე, როგორ აჰიკჰიკდნენ გაზაფხულის მერცხლებივით, მას აქეთ რაც გორის მაზრაში სამხედრო წესი გამოცხადდა. აქამდის იმათ კაცი ვერსად დაინახავდა, თაგვებივით სოროში ისხდნენ და თავიანთ წარსულს ნეტარებას იგონებდნენ. ეხლა კი მოედანზე გამოვიდნენ და ვინც კი შეხვდებათ, დაცინვით ეუბნებიან, ესეც თქვენი ძმობა, მოგკვდათ თუ არა, მიბრძანდით და კიდევ სცადეთ რაღაც სულელურ მიტინგების გამართვა, ამ დღეებში ყაზახები უნდა გამოვიდნენ გორიდან, აგიკლონ და თუ კარგი ათისა და ასის თავები გყვანან, მოვიდნენ და წინ დაუდგნენ; იცოდეთ მე სულ დაწვრილებით ვეტყვი ბოქაულს, ვინც რასა შვრებოდითო. ამ მუქარამ, ცოტა არ იყოს, ხალხი შეაშინა. მაშინვე დაიწყეს მიმალ-მიმალვა, თუ რამე ებადათ—ნივთეული, ტანისამოსი და სახლის ავეჯეულობა, იარაღი კი ამ სოფელში სრულებით არავის არა ჰქონია. ამ შიშითა და ვაი-ვაგლახით გაატარეს მთელი ერთი კვირა. ყოველ წუთს აწიოკების მოლოდინში იყვნენ ცამეტ ამ თვემდის. ცამეტში, დილის ათი საათი იქნებოდა, დავინახეთ გორიდან სირბილით მოდიოდა მამასახლისი. სახე მთლად გაწითლებოდა. ვინც კი გზაში შეხვდებოდა, უყვიროდა: აბა ჩქარა, ამ საათში ბოქაული მოდის ას-ორმოცდა ათის ყაზახით, და ბრძანება მაქვს, რომ ყველანი მოგროვდეთ კანცელარიაში, აბა ეხლა ამოვიყრი თქვენ ჯავრს, აქამდის ხომ არაფრად აღარ მაგდებდით, გეგონათ მამასახლისობა გადავარდაო. ხალხი შიშის ზარმა მოიცვა, დაიწყეს, თუ რამე ებადათ, მიმალ-მომალვა. ასე გასინჯეთ, ლოგინებსაც კი მიწაში ჰფლავდნენ. შემდეგ შეიკრიბნენ სოფლის კანცელარიაში. არ გაიარა დიდმა ხანმა, რომ გორის გზაზედ გამოჩნდა ეტლით მომავალი ხიდისთავის ნაწილის ბოქაული სამის საერობო დარაჯით, ყაზახები კი სრულებითაც არსადა სჩანდნენ. ხალხი გაოცებული დარჩა, დარწმუნდნენ, რომ ეს სულ ტყუილად შეეთხზა ბატონ მამასახლისსა მათ შესაშინებლად. ერთმანეთს განცვიფრებულნი უყურებდნენ და ებუტბუტებოდნენ: აბა 'სად არიან ყაზახები! ან კი რად უნდა ჰოსულიყვნენ, როდესაც ამ სოფელში არაფერი უწესოება არ ჩაგვიდენიაო.

მალე ეტლი კანცელარიასთან მოვიდა, გადმოვიდა ბოქაული, დაათვალიერა კანცელარია და შემდეგის სიტყვებით მიმართა ხალხსა: ხალხო, ეს თქვენი მამასახლისი გიჩივით, რომ თქვენ აღარ მორჩილდებით, დაგიყენებიათ ასისა და ათის თავები, გაგიუქმებიათ კანცელარია და ამასთან თქვენვე გყოლიათ ისეთი კაცები, რომელნიც თქვენ წამდაუწუმ გაგროვებენ და გიქადაგებენ, რომ მთავრობას აღარ დაემორჩილოთო. მე წინადადებას გაძლევთ, დღეიდანვე აღადგინოთ კანცელარია, დაემორჩილოთ მთავრობას და დამისახელოთ ის პირები, რომელნიც საწინააღმდეგო გზაზე გაყენებენო. ხალხმა ერთხმად უპასუხა. ბატონო, თქვენთვის სულ ტყუილი უთქვამს მამასახლისს, ჩვენ სოფელში მთავრობის წინააღმდეგნი არა ჩაგვიდენია-რა, ყოველ მოთხოვნილებას ავასრულებთ, მხოლოდ რაც შეეხება იმ კაცებს, რომელნიც მთავრობის წინააღმდეგობას ჰქადაგებენ, ჩვენ სოფელში არავინ არა გვყავს მაგისთანა. ათასში ერთხელ თუ სხვაგნიდან მოვა ვინმე ხოლმე, ის თავის სახელსა და გვარს არ გვეუბნება, მამასახლისი სტყუისო. აქ მამასახლისმა რომ ვერაფერი გააწყო მიუბრუნდა ბოქაულს და უთხრა: ბატონო, მე მამასახლისობა აღარ მინდა, რადგან სახლში ხალხი მიცვივდება და მოკვლას მიქადისო. მაშინ ხალხმა უთხრა ბოქაულს: თუ არა სტყუის, თითონვე დაასახელოს, რომლები უვარდებიან სახლშიო. მამასახლისმა ამაზე დაიძახა: მე ვერ ვიტყვი იმათ ვინაობასა და ჰკითხეთ ურიადნიკს; იმან იცის, ვინც არიანო. ურიადნიკმა მაშინვე უპასუხა, მე არაფერიც არ ვიცი და არც გამიგონია, რომ შენ ვინმე მოგხტომოდეს სახლში მოსაკლავადაო.

ამითი გათავდა ეს მოლოდინი, შემდეგ ბოქაული გამოემშვიდობა ხალხს და წავიდა. წავიდა თუ არა ბოქაული, მამასახლისმა ხელ-ახლა დაუწყო ყვირილი ხალხს: თუ დღესვე ჩემი ჯამაგირი არ გაგიწერიათ და არ ჩაგიბარებიათ, იცოდეთ ბევრი თქვენგანი ციხეში ჩაბძანდება და იქნება ციმბირიც ნახოსო. **მნახველი**

დეპეშა

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

21 იანვარი

ვილნო, 20 იანვარი. გამოქვეყნდა გუბერნატორის განცხადება, რომელიც აფრთხილებს მცხოვრებთ რომ, თუ, ვინიცობაა, არყის დუქნები გაძარცვეთ, ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებს დაეცით ანა და ამის მაგვარი რამ დანაშაული ჩაიდინეთ, მაშინათვე გაძლიერებულ დაცვის წესებს გამოვაცხადებ და ვინც დაჭერილი იქნება მკვლელობისა ან მკვლელობის განზრახვისათვის, სამხედრო სამართალში მიიცემა.

ბელოსტოკი, 20 იანვარი. კუპეჩესკი ქუჩაზე აღმოჩნდა საიდუმლო სტამბა დაჭერილმა ქალმა და კაცმა ს.-რევოლიუციონერებად აღიარეს თავიანთი თავი.

ბელოსტოკი, 20 იანვარი. ტრამვაის პარკთან ახლოს გადააგდეს ბომბა, რომელმაც არ იფეთქა.

რეველი, 20 იანვარი. დასრულდა ფერშლის შკოლის 37 შაგირდის საქმის გარჩევა. ერთს 15 წლის კატორგა გადაუწყვიტეს, 14 სადისციპლინო ბატალიონში გაგზავნა 2—3 წლამდე, დანარჩენები გაამართლეს.

მოსკოვი, 20 იანვარი. არაა მუშაობა ლიუბერეცკი სტორმაზო ქარხანასა და ტვერის მანუფაქტურაზე, რომლის მუშებმა ითხოვეს მოსი გადება. ადმინისტრაციამ-კი მოითხოვა, გასცენ გაფიცვის მეთაურები.

პეტერბურგი. სასამართლო პალატამ დაადგინა: „დასტელ“-ის რედაქტორი ხელ-ახლა იქნას ჩასმული ციხეში ექვსი თვით, აეკრძალოს მას რედაქტორობა 5 წლის განმავლობაში, და ჟურნალი „დასტელი“ სამუდამოდ მოისპოს; „სვობოდნი სლოვო“-ს რედაქტორი გოროდეცკი ჩამწყვდეულ იქნას ციხეში ორის თვით და გაზეთი „სვობ. სლოვო“ დაიხუროს სამუდამოდ.

ბელოსტოკი, 27 იანვარი. დაიჭირეს ორი უცნობი პირი, რომელნიც რიგის კომერციულ ბანკის განყოფილების დირექტორთან იყვნენ და ანარქისტების პარტიის სახელით ფულს თხოულობდნენ. გუშინ დაიჭირეს სამი კაცი, რომელთაც იმავე მოთხოვნით მიმართეს მეფაბრიკე ლივშიცს.

რომი. ფორტისმა სამსახურიდან გადადგომის ქაღალდი წარუდგინა მეფეს მისს მოადგილედ სონნინის ასახელებენ.

პეტერბურგი. პროფესსორთა კრებამ შეიტანა უნივერსიტეტის ახალ წესდებაში საგნობრივი სისტემა სწავლებისა, გამოცდა შეიძლება რამდენჯერმე წელიწადში, ფაკულტეტების მიერ დადგენილ ვადაზე. ვისაც გათავებია სხვა უმაღლესი სასწავლებლები, რუსეთსა და საზღვარ-გარეთში, იმათ შეუძლიათ, ფაკულტეტის ნებართვით, კანდიდატის ხარისხი მოიპოვონ. დოქტორისა ან კანდიდატის უფლების მქონეს არავითარი უპირატესობა არ ეძლევა სამსახურში. საზღვარ გარეთის დოქტორებსა და კანდიდატებს ისეთივე უფლება ექნებათ, როგორც რუსეთისას.

ვარშავა, 21 იანვარი. მხარის უფროსმა შეაჩერა მოქმედებაში მოყვანა კელცის გენ.-გუბერნატორის სავალდებულო დადგენილებისა, რომლის ძალით, ვინც სამის დღის განმავლობაში იარაღს არ ჩააბარებდა ადმინისტრაციას, სიკვდილით უნდა დასჯილიყო.

პეტერბურგი. პეტერბურგის გრადონაჩალნიკმა გააუქმა 1905 წ. 13 დეკემბრის დროებითი აკრძალვა პეტერბურგსა და მისს მიდამოებში ყოვლადგვარ პოლიტიკურ და ეკონომიურ ხასიათების კრებისა და თავყრილობის შესახებ. ახლა შეიძლება გაიმართოს ასეთი კრებები, მაგრამ ამისთვის საჭირო იქნება 1905 წ. 12 დეკემბრის უმაღლეს ბრძანებაში აღნიშნულ წესების შესრულება.

კრემენჩუგი, 21 იანვარი. გენ. გუბერნატორი აცხადებს, ვინც კანონიერ მთავრობის წევრებს გადააყენებს, იგი განუსჯელად დაიხვრიტება, როგორც მეამბოხე.

კრონშტადტი, 21 იანვარი. დაიწყო 26-სა და 27 ოქტომბერის აჯანყების საქმის გარჩევა. ბრალს სდებენ 207 მეზღვაურს; გამოწვეულია 800 კაცი.

მოსკოვი. სასამართლო პალატა, წოდებრივის წარმომადგენლების თანდასწრებით, გაარჩევს საქმეს გენ. ტრეპოვის მოკვლის განზრახვის შესახებ. ბრ-ლი ედებათ პოლტორაცკისა და ვოლკოვს.

იურიევი, 21 ოქტომბერი, უნივერსიტეტის საბჭომ დაადგინა. დახუროს მიმდინარე სემესტრში უნივერსიტეტი.—მაზრაში ჯარი გაიგზავნა.

22 იანვარი

პეტერბურგი. გაიხსნა პირველი კრება სრულიად რუსეთის ფარმაცევტების წარმომადგენლებისა. კრების გახსნის დღეს შემდეგი მოხსენებები იქნა წარდგენილი: 1. კორპორატიული თვითმმართველობა და სრული ავტონომია ფარმაცევტების საქმეებში; 2. საზოგადო და სპეციალური განათლება ფარმაცევტებისათვის და საგანგებო აზრი იმავე საკითხებში. ამ საკითხების პრინციპიალურ მხარეს არავითარი კამათი არ გამოუწვევია. კრება მომხრეა მიიღოს ბიუროს დადგენილება, რომელმაც შემდეგი რეზოლიუცია წარადგინა: თვითმმართველობა უნდა გამოიხატოს საფარმაცევტო საქმეებში საბჭოს დაარსებაში; ეს საბჭო შესდგება ფარმაცევტებში არჩეულ პირებისა და მთავრობის მიერ დანიშნულ კაცისაგან. ეს საბჭო გადამწყვეტი იქნება ყველა საკითხებისა შესახებ სრულიად რუსეთის ფარმაცევტთა კორპორაციისა და სათითაო საქმეებისა. საბჭოს თვითეულ გუბერნიაში აქვს ცალკე სამმართველო იმავე ორგანიზაციით, როგორც თვითონ. განზრახულია, იშუამდგომლონ, რომ აფთიაქში შაგირდათ შესვლის ნება ჰქონდეთ მხოლოდ საშუალო განათლების მქონეთ და აფთიაქში ორის წლის მუშაობის შემდეგ იღებდნენ უნივერსიტეტში, სადაც შეეძლებათ სპეციალური განათლება მიიღონ პროვიზორთა კურსებზე.

საგლეხო ბანკს, რომელიც ამ ჟამად ცნობებს კრებს იმ მიწების შესახებ, რომელნიც შეიძლება მისი საშუალებით გადაეცეს გლეხებს, 8 იანვრამდე შესთავაზეს, საერთოდ, 1500500 დესიატინა მიწა ფასის აღუნიშნავად. ორთაშუა რიცხვით აღებული ფასი თითო დესიატინის 125 მან. ამბობენ, ამ დღეებში გამოაქვეყნებენ ახალს კანონს, რომლის ძალით სიკვდილით დასჯიან ბომბის ან სხვა ასაფეთქებელ ნივთიერების მხმარელს პოლიტიკური მკვლელობის დროს.

21 იანვარს სამოსამართლო პალატის გარდაწყვეტილებით შეჩერებულ იქნა გაზეთ „რადიკალ“-ის გამოცემა და რედაქტორ-გამომცემელი მარგულიესი პასუხის გებაში მისცეს.

პეტერბურგი. პროფესსორებმა გადასწყვიტეს იურიდიულ ფაკულტეტზე შემოღებულ იქნას შედარებითის ისტორიის კათედრა. ვარშავის უნივერსიტეტში არსდება პოლონურ უფლების ისტორიის კათედრა, ტომსკისაში—ისტორიისა და ფილოსოფიის კათედრა; ფილოლოგიურ ფაკულტეტებზე შემოაქვთ არხეოლოგიისა, ისტორიულ გეოგრაფიისა, ეთნოგრაფიისა და ლატიშ ლიტერატურისა და ესტონ-ფინურის ფილოლოგიის კათედრები. მინისტრმა მოახსენა კრებას, რომ ესტონელები და ლატიშები შუამდგომლობენ იურიევის უნივერსიტეტში გაიხსნას რეფორმაციულ ღვთისმეტყველების კათედრა ესტონურსა და ლატიშურს ენებზე. კომისიამ სასურველად სცნო, რომ იურიევის უნივერსიტეტის საბჭომ დააკმაყოფილოს ეს შუამდგომლობა.

ვარშავა, 21 იანვარი. ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრომ დაამტკიცა ვარშავის პოლიტეხნიკუმის საბჭოს გარდაწყვეტილება პოლიტეხნიკუმის დახურვის შესახებ. მთელს პერსონალს დაითხოვენ აპრილამდე უსადრობის გამო, გარდა რამდენიმე პროფესორისა, რომელნიც ლაბარატორიებისა და კოლექციების უფრის მგებლად იქნებიან დატოვებული. სტუდენტებს დაუბრუნდებათ პირველ სემესტრში შეტანილი სწავლის ფული.

ლიბავა, 22 იანვარი. აგურის ქარხანაში იპოვნეს 16 ბომბა, ხელით სასროლი, ამას გარდა რუკაში იპოვნეს წყალში ჩაშვებული ზარბაზანი.

ნოვოჩერკასკი. ეკატერინ. საზოგადოების მადაროში აფეთქებამ 8 მუშა იმსხვერპლა.

რიგა. ორლოვის მოდარაჯე რაზმმა მიუდგრაბენში დასწვა სახლები ლატიშთა სიითხოვლის საზოგადოებისა და ფაბრიკანტ დომბროვსკისა და რამდენიმე კაცი დაიჭირა.

ლობინსკაია. ლობინსკის განყოფილებაში უფრო ძლიერდება აგრარული მოძრაობა. გლეხები ძარცვავენ, სჩეხავენ სახელმწიფო ტყეს, იყოფენ მემამულეების მიწებს და უარს ამბობენ გადასახადების მიცემაზე. გამოიწვიეს ყუბანისა და დონის ყაზახები.

პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან.

21 იანვარი

პეტერბურგი, 20 იანვარი. (დასასრული) განიხილეს საკითხი უნივერსიტეტში პროფესორად მომზადებისთვის დატოვების შესახებ. თვითეულ ფაკულტეტს ნება აქვს ყოველ წლივ სამი სტიპენდია დასტოვოს, ფიზიკო-მათემატიკურს-კი ექვსი. სტიპენდიას 900 მანეთამდე მოემატა, დატოვება შეიძლება 4 წლამდე. დატოვებულნი შეიძლება გაიგზავნონ რუსეთისა და საზღვარ-გარეთ. სამეცნიერო მიზნით საზღვარ-გარეთ შეეძლებათ ორ წლამდე დარჩნენ. საზღვარ-გარეთ გაგზავნილებს დაენიშნებათ 1800 მანეთი წელიწადში.

შინაგან საქმეთა მინისტრმა მიიღო მუსულმანთა დეპუტაცია და აღუთქვა კრების ნებართვა იმ პირობით, რომ იგი საჯარო არ იქნება. „ნოვოსტი“-ს გაუგონია, რომ გენ. გროდეკოვი კავკასიის ნამესტნიკად ინიშნებაო.

აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის მმართველი დეპეშით იუწყება ხარბინიდან, რომ ტყუილია გაზეთების ცნობა, ვითომც ხარბინში არეულობის ყოფილიყოს და განადგურებინოთ ქალაქი. ხარბინში ყველაფერი მშვიდობაა, წესიერება არ დარღვეულა.

ვარშავა. გარდაიცვალა რადომში 22 თებერვალს ბომბით დაჭრილი პოლიციმეისტერი სტენკევიჩი

პეტერბურგი „ნოვოე ვრემია“ იუწყება, კუტლერის კომისიამ გლეხ კაცებისთვის მიწების დარიგების შესახებ, დაასრულა მუშაობა. უწყებათა წარმომადგენლებმა, გარდა მიწათ-მოქმედებისა, ერთ ხმად უარჰყვეს კუტლერის პროექტი კერძო მფლობელთა მიწების ძალათ გამოყოფის შესახებ.

კუზნეცკი, 21 იანვარი. (ტომსკის გუბ.) მანჯურიიდან დაბრუნებულ სათადარიგო ჯარის კაცთა შორის არეულობაა. მთელს მაზრაში სცემენ მთავრობის წარმომადგენლებს, მათ მიერ დამარების განაწილების დროს ჩადენილ ბოროტ-მოქმედებისთვის. ისინი გადაწვას იმუქრებიან.

ბიისკი. გლეხები სჩეხენ საკაბინეტო ტყეებს.

პარიზი, 21 იანვარი. საეკლესიო მამულების აწერის დროს დიდი არეულობა მოხდა. პეტრეს ეკლესიაში თავი მოიყარა 3 ათასმდე კაცმა და შეეცადნენ ჯარისთვის წინააღმდეგობის გაწევას.

ცეცხლის მქრობელთ შემტვრიეს კარები, ცხენოსანი გვარდიელები ხმლებ ამოღებული გარს შემოერტყნენ ბრბოს. დაიჭრა ბევრი მანიფესტანტი. ცეცხლის-მქრობელნი ავიდნენ მაღლა სახურავზე და იქიდან წყალი გადაასხეს ეკლესიაში მყოფთ. ბოლოს ეკლესია ჯარმა დაიჭირა. ინსპექტორმა აღწერა ქონება. გარედ მთელი შფოთი იყო, ეჯახებოდნენ ერთი-მეორეს კათოლიკები და ანტიკლერიკალები. „ჟურნალ დე-დება“ და „ტან“-ი ჰკიცხავენ არეულობის მომხდენთ და ამბობენ, რომ ქონების აღწერა სრულებით არ ეწინააღმდეგება რელიგიოზურ გრძნობას და აუცილებლად საჭიროა ახალ რეჟიმისაკენ გადასასვლელად.

ვენა, 21 იანვარი. ეკკლესიაში ბავშვებისათვის ქადაგების დროს ერთს ქალიშვილს ზნე და მოუვიდა: საშინელი თავზარი დასცა ამან იქ მყოფთ საქმე იმით გართულდა, რომ ვიღაცამ დაიყვირა „ცეცხლი გაჩნდაო“. ყველა გასასვლელ კარებს ეცა. შედეგი ასეთია: ერთი მოკვდა, 21 მძიმედ დაშავდა, ამათში 5 სასიკვდილოდ და 13 მსუბუქად. დაშავდნენ უმეტესად მცირე წლოვანი ბავშვები.

პოლტავა, 21 იანვარი რევოლვერით მოჰკლეს პოლტავის რკინის გზის სახელოსნოების უფროსი ინჟინერი კიტჩენი. დამნაშავე მიიმალა.

ადესა, 21 იანვარი. სახლის პატრონ ტამიროვის ბინაზე მივიდა 9 შეიარაღებული კაცი, თავისთავს ანარქისტთა პარტიის რწმუნებულნი უწოდეს და ფული მოითხოვეს. როცა უარი მიიღეს, ანარქისტებმა ჩაჰკეტეს იქ მყოფნი და წაიღეს 500 მ. და ბევრი ძვირფასეულობა. მათ მცველებათ ქუჩაში ოცამდე კაცი ჰყავდათ. ვერავინ ვერ დაიჭირეს.

ქუთაისი. 21 იანვარი. დაიჭირეს 20 კაცი, მათ რიცხვში ექიმები დონდაროვი და ქორქაშვილი, ვექილები ქიქოძე და ჯაფარიძე, გამგეობის წევრები განდელაკი და ჭილაძე. ეძებენ რევოლიუციონერების მეთაურებს. დაძარცვეს და გადასწვეს 30 მაღაზია. არავინ მომკვდარ.

ვოლკოვიშკი, 21 იანვარი. პილვიშკაში ვიღაცამ მოჰკლა საერობო დარაჯი, გრიკაბუგაში მოჰკლეს მეორე დარაჯი. გენ.-გუბერნატორმა, კერძო ტყეების გაჩეხისაგან დასაცავად, ბრძანება გასცა, რომ ვინც ნებადაურთველად შევა სხვის ტყეში, იგი დაპატიმრებულ იქნება სამის თვით ანა და 3 ათასი მანეთით დაჯარიმდებაო.

სტაროკონსტანტინოვი, 21 იანვარი. კოტიოჟოვის ტყეში ტყის მცველის ბინას თავს დაესხა შეიარაღებულ მძარცველთა ბრბო. დასჭრეს ტყის მცველი და მისი ცოლი, სახლი გაძარცვეს. შეიპყრეს ექვსი მძარცველთაგანი.

პეტერბურგი, 21 იანვარი. ამბობენ, რომ საერო განათლების სამინისტრო ემზადება, მიიღოს ზომები საშუალო სასწავლებლებში მოძრაობის აღმოსაფხვრელად და გაფიცვების განმეორების მოსასპობად.—სპარსეთიდან მოსულ კერძო ცნობების თანხმად, იქ რევოლიუციონური მოძრაობა ძლიერ გამწვავებულა. თეირანში გაიწვიეს არა მარტო პეტერბურგის ელჩი, არამედ სხვა ელჩებიც ევროპიდან.

რადგანაც რკინის გზის სახელოსნოებიდან დაითხოვეს ბევრი ოსტატი გაფიცვაში მონაწილეობის მიღებისთვის, ამიტომ, შესაკეთებელი ორთქლ-მავალი გადაწყვეტილია კერძო ქარხნებს გადასცენ.

პეტერბურგი, 21 იანვარი. განიხილეს და მიიღეს კიდეც დროებით წესები პოლიციელებისა, ჯარში მოსამსახურეების და თანამდებობის პირების მოკვლის მოსპობის შესახებ.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიტანა მინისტრთა საბჭოში დამატებითი წესები დროებითი გამოცემების შესახებ.

სამხედრო საბჭოში არსდება კომიტეტი ჯარის შინაგან ყოფა-ცხოვრების მოწყობის შესახებ.

სავაჭრო სამინისტროს პროექტი შეაქვს სახელმწიფო საბჭოში სავაჭრო დაწესებულებებში მოსამსახურეების დასვენების შესახებ.

სოსნიცა, 21 იანვარი. ენერგიული გამოძიება სწარმოებს აგრარულ მოძრაობის შესახებ. მეთაურები დაიჭირეს.

მოსკოვი, მოსკოვის გუბერნიაში, მოსკოვს გარდა, არჩევნებში 100,323 მუშა იღებს მონაწილეობას.

პეტერბურგი. 21 იანვარი. პროფესორებმა შემდეგი დაადგინეს: თვითეულ საგნის კურსს გადიან ერთისა ან ორის სემესტრის განმავლობაში. უნივერსიტეტში ყოფნის დრო განუსაზღვრელია, მოწმობის მიღებისთვის საჭიროა გამოცდა იმ საგნებში, რომელთაც ფაკულტეტი გადასწყვეტს. უფლების კანდიდატის ხარისხის მისაღებად საჭიროა ფაკულტეტის მიერ დადგენილ დროს განმავლობაში ყურის გდება და ფაკულტეტის მოწმობა დისერტაციის დაცვის შემდეგ. დოქტორის ხარისხის მიღებისთვის საჭიროა გამოცდა საგნებში და დისერტაციის დაცვა. ხარისხები არავითარ უპირატესობას არ იძლევიან სამსახურში დოქტორის ხარისხის მქონეს ნება აქვს ასწავლოს უმაღლეს სპეციალურ სასწავლებლებში.

ტაგანროგი, 21 იანვარი. პოლიციამ დაიჭირა აგიტატორების თავყრილობა. იპოვნეს იარაღი და პროკლამაციები. დაიჭირეს 24 კაცი.

მოსკოვი, 21 იანვარი. პეტერბურგს წავიდა ჩქარის მატარებლით დუბასოვი. მოსკოვ-კურსკის გზით, ღამით, სრეტენსკისაკენ გაგზავნეს რევოლიუციონერ მოძრაობის დროს დაჭერილები.

სამარკანდი, 21 იანვარი. გაზეთ „სამარკანდ“-ის სტამბა დაიბეჭდა რედაქტორი დაატუსაღეს.

ბათუმი, 22 იანვარი. აჭარლებმა ტელეგრაფით გაუგზავნეს ხელმწიფეს თავიანთი უქვეშევრდომილესი გრძნობანი ისინი ამბობენ, რომ მზად არიან მხარი დაუჭირონ მშვიდობიანობასა და წესიერებას, რადაც უნდა დაუჯდეთ.

მოსკოვი, 22 იანვარი. გზათა მინისტრსა და მოსკოვის რკ. გზების უფროსებსა და მმართველ შორის გამართულ ბაასზე გამოირკვა, თუ რა ამბები მოჰყვა გაფიცვებს და რა დამოკიდებულება ჰქონდათ მათთან უფროსებს. მინისტრმა განაცხადა რომ ეხლა გაფიცვების მთავარი ხელმძღვანელები გაგდებული არიან, ორისა და 14 დეკემბრის კანონებით ბოძებულია საჭირო საშუალება მავნებელ გავლენასთან საბრძოლველად, მოსამსახურეების ნივთიერ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, შემუშავებულია კანონ-პროექტი მათ შესახებ, იცვლება საპენსიო წესდება, უმჯობესდება სკოლის საკითხი. ახლა მტკიცე მშვიდობიანობის ჩამოგდება დამოკიდებულია რკ. გზებისა და სამსახურის განყოფილებათა უფროსებზე. საჭიროა, რომ ამით განამტკიცონ წესიერება მოსამსახურეებს შორის, დაუახლოვდენ მათ, გაეცნონ მათს ნამდვილს საჭიროებას და პირადი ზნეობრივი გავლენა იქონიონ მათზე.

ადესა, 22 იანვარი. შმიდტის პროცესში მონაწილეობენ მუშა იალინიჩი, რომელიც „პანტელეიმონ“-ზე იყო, ადესის უნივერსიტეტის სტუდენტები პიატინი და მაიშოოვი, რომელნიც სევასტოპოლში მოსულან გემ „პუშკინით“ და „ოჩაკოვ“-ზე გადასულან ბრძოლის წინ რამდენიმე საათით. „ოჩაკოვის“ საქმეს ლაზარევის ყაზარმების ამბებთან ერთად არ გაარჩევენ. უკანასკნელ პროცესში ბრალდებულთა რიცხვი 430-ა.

შენკურსკი, 22 იანვარი. დაატუსაღეს ადგილობრივ გლეხთა კავშირის წევრები. აგრარული მოძრაობა წყნარდება

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი**.

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის
გამგეობა
აცხადებს, რომ ამა წლის 26 იანვარს, შუადღის 12 საათისთვის დანიშნულია საჯარო ვაჭრობა არხის გაყვანის საქმის გასაცემად. არხი გაყვანილ უნდა იქმნას ვახტანგისა და კოტლიარევსკის ქუჩ., მე-7 ნაწილში.

50 ს. ბეტონის მილი 0,25 × 0,16
10 „ „ 0,375 × 0,25
2 ჭა.

წერილობითი განცხადებანი, სადაც აღნიშნული უნდა იყოს ცალ-ცალკე ფასები, უნდა წარდგენილ იქნას დაბეჭდილ კონვერტებით ამ წლის 26 იანვრისთვის.

ვისაც ვაჭრობა სურს, შეუძლიან პირობები განიხილოს გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 1-დან 3 საათამდე. ს. № 36. 1905 წ. (3—6.—1)

ტფილისის ქალაქის
გამგეობა
აცხადებს, რომ 25 იანვარს, ნაშუადღევის 1 საათისთვის, ქალაქის სახლში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომელზედაც გაიცემა შოსსეს შეკეთების საქმე ქალაქის სხვა და სხვა ადგილას. უნდა გაკეთდეს აგრეთვე ქუჩაზე გადასასვლელები.

ვაჭრობის პირობების გაგება შეიძლება ყოველ დღე 12-დან 2 საათამდე გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში. (3—6.—1)

ქალაქ ბათუმში
ექვთიმე ბერძენიშვილი და ახილეს დიმიტრიადი ყიდიან საუკეთესო აბრეშუმის თესლს ხრისტოდულიდის ფირმისას და იმათ აქვს საწყობი ქ. ბათუმში ქუთაისის გუბერნიისათვის, რამდენიც საჭირო იქნება.
ს. ხრისტოდულიდი. (8—1)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»
კიოსკში
ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კაპ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ნელი, მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	—
II და III ტომი თითო	1	—
ილ. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნად	—	80
სოფლის კუნძულ, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	55
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	10
ღვინის დაყენება, პროფ. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—ჰენრიხ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	25
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	20
ხენთი რაფფისა, თარგმანი სომხურიდან გ. ევანგულოვისა	1	—